ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 17 ივნისი, 2013 | №141 (6142) | ფასი: 30 თეთრი

12 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
დალაი ლამა
8 ლარი




# ვანო მერაბიშვილი, შეიძლება, პატიმრობიდან გაათავისუფლონ



გვ.3

ვის წისქვილზე ასხამს წყალს აშშ-ის კონგრესის განცხადება

## ვანო მერაბიშვილი საკანში ტელევიზორის დადგმას ამ დრომდე უშედეგოდ ითხოვს გვ.2

## ემზარ კვიციანის ცოლ-შვილს საკუთარ სახლში არ უშვებენ გვ.2



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „სკანდალური ფირები მათი განადგურების შემდეგაც გავრცელდება“ გვ.4

## გია ყარყარაშვილი გივი თარგამაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს გვ.2



## მამუკა გიორგაძე: „საქართველოს, შესაძლოა, ახალი 25 თებერვალი გაუთენდეს“ გვ.7





## ლადო პაპავა: „უნივერსიტეტს პირველი მიხეილ სააკაშვილი დაუპირისპირდა“ გვ.5



## ირაკლი წერეთელი 18 ივნისიდან შიმშილობის დაწყებას გეგმავს გვ.2



## სანდრო თვალჭრელიძე: „უნივერსიტეტის რექტორი გამბედავი ადამიანი უნდა იყოს“ გვ.6



## მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოს მეტი კონტაქტები, მეტი ურთიერთობა სჭირდება“ გვ.4

ISSN 1987-9385

**3** კადიევისა და ომაროვის მიმართ გამოტანილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება

**4** ირაკლი მენაღარიშვილი: „აშშ-ის კანონმდებლებთან მიმდინარე საკითხების შესახებ კომუნიკაციაში ხარვეზები გვაქვს“

**6** რუსმა ოკუპანტებმა ორსანტიას მკვიდრი დააკავეს

**5** ილია II: „წიგნი უნდა იყოს პირველი მეგობარი ადამიანისა“

# გია ყარყარაშვილი გივი თარგამაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი



**ზოგისთვის ავადსახსენებელ და ზოგისთვის კარგადსახსენებელ 1 ოქტომბერს ქვეყანაში ბევრი რამე შეიცვალა. ნაციონალები ბევრ რამეს ჩამოაშორეს. ოპოზიციაში გადასულები, ძველებურად ვეღარც ტენდერებს იგებენ სახელმწიფო სტრუქტურებში. ამის გამო, როგორც ამბობენ, ძალიან გამწარებულები არიან.**

გამწარებული ნაციონალები ახლა მეოცნებეებს საყვედურობენ ტენდერების მოგების გამო. ცოტა ხნის წინ პარლამენტში ამბავი ატყდა იმის გამო, რომ დეპუტატ ირინა იმერლიშვილის ქმარმა თავდაცვის სამინისტროში ტენდერი მოიგო. სამინისტრომ ეს ტენდერი შეაჩერა.

რამდენიმე დღის წინ დეპუტატებმა ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ ახალი სკანდალი ააგორეს. მათი მტკიცებით, ირაკლი ალასანიამ გია ყარყარაშვილის მძღოლს ტენდერი მოაგებინა. ამის გამო საპარლამენტო უმცირესობა ზედმეტად აღშფოთდა. არადა, არასდროს არ გაუპროტესტებიათ როცა ნაციონალები, მათი ქმრები, ცოლები ან ძმები სახელმწიფო ტენდერებს იგებდნენ. თავისიანების კრიტიკა ჩვენში მიუღებლად ითვლება.

ნადირაშვილი-თარგამაძის ბრალდებებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი ეხმიანება. მათ განცხადებას გენერალი ცილისწამებას უწოდებს და გივი თარგამაძისგან განმარტებებს ელოდება. საგანგებო განცხადება მან ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

— უკვე მეათე თვე მიდის, აღარსად ვჩანვარ. არავის გამარჯვებით მისარგებლია და არც არავის დამარცხებით დავმტკბარვარ, უბრალოდ, გავეცალე პროცესებს უხმაუროდ... მინდოდა, ამ სიძულვილს გავცლოდი. მეგონა რომ, მოვახერხებდი. მაინც არ მომასვენეს... ვუსმენდით, რა სიამაყითა და ბედნიერი სახეებით აცხადებდნენ: „კორუფციული სქემის შესახებ თავდაცვის სამინისტროში“, ან რა შთამბეჭდავად ჟღერდა: წინასაარჩევნოდ გაწეული აქტიურობისათვის მილიონ რვაასათასიანი ტენდერი ჯილდოდ და ბოლოს, წმინდა ნაციონალური ანალიზის შედეგად გამოთქმული ვარაუდი „ერთი ლარის“ გაყოფასთან დაკავშირებით.

მოკლედ, წინასწარ დანაშაულად ჩაგვითვალეს სიმონიანს, მე და სხვას ყველას ის, რომ ადამიანთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა საკუთარი შრომით თავის გატანა გადაწყვიტა... არადა, მთელი ამ მითქმა-მოთქმისა და მრავლისმთქმელი ციფრების უკან დგას ის, რომ „პროგრესი პლუსის“ ხუთიოდე თანამშრომელი ადგილზე მომსახურებას უწევს იმ ტენდერების შესრულებას, რომლისთვისაც საქონელი სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან იგზავნება, ხოლო ფირმის მიერ გაწეული შრომის ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ ამ შრომის საფასურად იღებს ხელფასს იმ მცირე თანხებიდან, რომელსაც პარტნიორი, უცხო ქვეყნის მოქალაქე ტოვებს გასამრჯელოდ, თუმცა, ვიცი, რომ ამას რასაც ვწერ, ჭიქაში ქარიშხლის ამტეხებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მათთვის მთავარი იყო, პოლიტიკურად შეურაცხყოფა მოეყენებინათ, რაც ნაწილობრივ უკვე მოახერხეს, მაგრამ ეს ასე არ დამთავრდება.

გივი, პირადად შენ მოგმართავ, პატივი დამდე, მიცნობ და შენ მელაპარაკე და მედებატე. ირმას ჭორებზე გაკეთებულ განცხადებებზე პოლემიკაში ნუ შემიყვან. გამოძიებას ითხოვდით და უკეთეს ვარიანტს გთავაზობ, ოღონდ, იცოდე, უპასუხოდ დატოვებას პირადად შენგან არ მივიღებ.

გამოაგზავნე ნებისმიერი იურისტი, გინდა ფინანსისტი, პირადად მივეხმარები, რომ „პროგრესი პლუსის“ საბუთებში ჩაახედონ, მათ შორის, სრულად საბუღალტრო მასალებისა და ფინანსების მოძრაობაში. ასევე გააცნობენ იმ სავარაუდო მოგების მენეჯმენტს, რომელსაც ტოვებს ე.წ. „მილიონიანი“ ტენდერები, რათა საკუთარი თვალით ნახოთ და დარწმუნდეთ, რაოდენ მიზერულ ფასად იქნა შეთავაზებული ტენდერის შესრულება (ალბათ, გამოუცდელობისა და პატიოსანი მიდგომის გამო). სრულად გააცნობენ იმ ფოსტის მიმოწერას, როგორ მიიღო თურქეთიდან შემოთავაზება, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმა ბიზნესსაქმიანობაზე და ასევე ყოველ მიმოწერას



დღევანდელ დღემდე. თუ სადმე აღმოაჩენენ ამ კორუფციულ გარიგებას ან ვინმესთან „გასაყოფად“ საკმარის მოგებას, თვითონვე გამოცხადდებიან სამართალდამცავ ორგანოებში, მაგრამ, ერთი პირობით: თუ მსგავსი რამ არ აღმოჩნდება, საქვეყნოდ მოიხდით ბოდიშს.

შესთავაზებდით რომელიმე თქვენგანი ასეთ ვარიანტს სხვას საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებით? შენს პასუხს ველი, — მიმართავს ყარყარაშვილი თარგამაძეს.

თარგამაძისგან პასუხს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დღეისთვის ელოდება. იმ შემთხვევაში, თუ თარგამაძე არ გამოეხმაურება და თავის ბრალდებებს არ დაამტკიცებს, გენერალი სასამართლოში აპირებს ჩივილს.

წესით და რიგით, ადამიანს როცა რამეს აბრალებ, მისი დამამტკიცებელი მასალები უნდა გქონდეს. ვნახოთ, რას წარმოადგენს თარგამაძე.

და კიდევ, გივი თარგამაძე ბოლოს ძალიან გააქტიურდა. ახალ ხელისუფლებას უქექავს ძველ და ახალ ცოდვებს, რაც ცუდი სულაც არ არის. ოპოზიცია იმისთვისაა, რომ ხელისუფლება უნდა აკრიტიკოს.

ცუდი არ იქნება თუ თარგამაძე ნაციონალების მიერ ჩადენილ უკანონობებსაც გამოამზეურებს. კარგი იქნება, ერთი დეპუტატის ამბავსაც თუ განასაჯაროებს, რომელიც თბილისის ომის დროს მაროდიორობდა. ამ მაროდიორობის დროს „ბუტკის“ დაყაჩაღება სცადა მეგობართან ერთად. „ბუტკის“ მეპატრონემ ყაჩაღებს ესროლა. დეპუტატი უვნებლად გადარჩა, მისი მეგობარი კი გარდაიცვალა.

შესაძლოა, ასე შორს არ წავიდნენ ნაციონალები, მაგრამ რაღაცები უნდა გამოიძიონ. მართალია, არჩილ კბილაშვილი მათთვის ძველი ცოდვების გახსენებას აღარ აპირებს, მაგრამ ვიღაც სხვა აუცილებლად იზამს ამას. ამიტომ ჯობია, თავად თქვან, რაც კი რამ მიუქარავთ.

# ემზარ კვიციანის ცოლ-შვილს საკუთარ სახლში არ უშვებენ

## ვის ეშინია ყოფილი რწმუნებულის

შორენა მარსაგიშვილი



კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი პოლიტდევნილის სტატუსის მოლოდინშია. ამ სტატუსის მიღებამდე სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს. არადა, ბევრი რამ აქვს სათქმელი. „ახალ თაობასთან“ საუბარში კვიციანი ამბობს, რომ კოდორის ხეობის ჩაბარებაზე ბევრი რამ აქვს სათქმელი.

მას 2006 წელს კოდორის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზეც შეუძლია საინტერესო ინფორმაციის მოწოდება. სწორედ ამ სპეცოპერაციის წყალობით დაიკარგა ოპერაციიდან 2 წლის თავზე კოდორის ხეობა და რადგან კვიციანს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა არ ეძლევა, ეტყობა, ახალ ხელისუფლებაშიც არ აწყობთ ამ ამბის გამოძიება.

მის ოჯახს უკვე შეექმნა პრობლემები. რამდენიმე თვის წინ ემზარ კვიციანის მეუღლე და 3 შვილი სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ საკუთარ სახლში შესვლის უფლება არ ეძლევა. მათი სახლი ნაციონალებმა 2006 წლის ივლისში დალუქეს.

— ჩემი ცოლ-შვილი უკვე რამდენიმე თვეა, რაც საქართველოშია. მათ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ იმის უფლებასაც კი არ აძლევენ, რომ ჩვენს საკუთარ სახლში შევიდნენ, რომელიც ნაციონალებმა წაგვართვეს. ეს ფაქტი ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, — ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კვიციანი.

კვიციანი ეჭვობს, რომ ახალ ხელისუფლებაში ვიღაცებს არ აწყობთ სამშობლოში მისი დაბრუნება.

— მე ბევრი რამე ვიცი, რისი გამჟღავნებაც ვიღაცების ინტერესში არ შედის. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში არ ჩამოვიდე. ჩემს ცოლ-შვილსაც ამიტომ არ უშვებენ სახლში, ფიქრობენ, რომ ისინი უკან ჩემთან დაბრუნდებიან, რის შემდეგაც მე სამშობლოში დაბრუნების ნაკლები მოტივაცია მექნება, — ამბობს კვიციანი.

იმედია, ხელისუფლება განმარტავს, რატომ არ უშვებენ კვიციანის ოჯახს საკუთარ სახლში. უხერხულია, ათასი ცოდვის ჩამდენ ნაციონალებთან იკოჰაბიტაციო და ამ დროს ადამიანებს საკუთარ სახლში შესვლის უფლება არ მისცე.

# ირაკლი წერეთელი 18 ივნისიდან შიმშილობის დაწყებას გეგმავს

ანტისაოკუპაციო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინიციატორთა დასის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი 18 ივნისიდან შიმშილობის დაწყებას გეგმავს. ამის შესახებ წერეთელმა განცხადება რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა, რომელშიც იმ მიზეზებზე საუბრობდა, რის გამოც მან აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო.

„რატომ მინდა, დავიწყო შიმშილობა გამოკვეთილად კონკრეტული მოთხოვნები — ძალიან არ მომწონს საქართველოში დღეს არსებული საერთო მდგომარეობა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეთნოდემოგრაფიული, მორალური, ტერიტორიული, სამხედრო-თავდაცვითი თვალსაზრისით. ცხადად ვხედავ, ქართველი ერის მიერ ბრძოლებითა და სისხლით მოპოვებული და დაბრუნებული, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკნინების, დაკარგვის, საქართველოს რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროსა და სტრატეგიულ სივრცეში დაბრუნების, ამერიკასთან და დასავლეთთან დაცილების რეალურ საშიშროებას. სახეზეა მმართველი ხელისუფლების მშიშარა, კაპიტულანტურ-რენეგატული პოლიტიკა, ქვეყანაში კოლაბორაციონისტულ, მარიონეტულ და აგენტურულ პოლიტიკურ ძალთა მომძლავრება. რეალურია საფრთხე საქართველოს დსთ-ში დაბრუნებისა და ევრაზიის კავშირში შესვლის, აგრეთვე სუვერენული ქართული სახელმწიფოს სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და ფიზიკური დაუძლურებისა და დაცემის. ამას ემატება ჯანსაღი ეროვნულ-პოლიტიკური აქტიურობის მკვეთრი ნაკლებობა და პოზიტიური ეროვნული, სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული ცნობიერებისა და აზროვნების სერიოზული მოდუნება“, — აცხადებს წერეთელი.

გუშინ კი წერეთელმა მეორე განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც შიმშილობის დაწყების კონკრეტული დრო და ადგილი დაასახელა.

„1. შიმშილობა დაიწყება 2013 წლის 18 ივნისს საქართველოს დედაქალაქში 17:00 საათამდე. 2. შიმშილობა გამოცხადდება სპეციალურად მოწვეულ ბრიფინგზე ან „პრაიმტაიმის“ სტუდიაში, ან საქართველოს პარლამენტის ნაგებობის წინ, რუსთაველის გამზირზე 3. შიმშილობა დაიწყება გამოკვეთილად კონკრეტული, პოლიტიკური და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი მოთხოვნებით, 4. შიმშილობის მოთხოვნები უკვე მთელი სიცხადითაა მოცემული წერილობით დოკუმენტებში, რომლებიც ირაკლი წერეთლის ინტერნეტ-კედელზე დაიდო, მოთხოვნათა ჩამონათვალისა და მიმართვის სახით. 5. შიმშილობასა და მის მოთხოვნებს ჰყავს სამი ძირითადი ადრესატი — დემოკრატიული მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურები, მთავრობები და პარლამენტები, საქართველოს დღევანდელი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება და ქართველი ერი. 6. შიმშილობის შესახებ არსებული დოკუმენტაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე გადამრავლდება და უკლებლივ ყველა საჭირო და აუცილებელი მიმართულებით გავრცელდება. 7. შიმშილობას აქვს არა უვადო, არამედ გამაფრთხილებელი ხასიათი, მაგრამ არ იქნება ხანმოკლე და შეიძლება, იყოს ხანგრძლივი საკმაოდ, ან გარდაუვალ შემთხვევაში გადაიზარდოს უვადო შიმშილობაში. 8. შიმშილობის დაწყებიდან მოშიმშილე აყვანილ იქნება ყოველდღიური სამედიცინო კონტროლის ქვეშ, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ტყუილი და არაკეთილსინდისიერება მოშიმშილეს მხრიდან. შიმშილობა გაიმართება პერიოდულად საქართველოს პარლამენტის შენობის, აშშ-,ს საელჩოსა და ბრიტანეთის საელჩოს წინ დღეში რამდენიმე საათით, 9. ხალხმრავლობის შემთხვევაში მოშიმშილე ჩაატარებს მიტინგებს, მანიფესტაციებს, დემონსტრაციებსა და საჯარო ღონისძიებებს. 10. მოშიმშილე ითანამშრომლებს უკლებლივ ყველა იმასთან, ვინც გამოუცხადებს სოლიდარობას შიმშილობის კონკრეტულ მოთხოვნებს. 11. შეიძლება, შიმშილობის პროცესში გამოჩნდეს ახალი მოთხოვნებიც, ოღონდ შიმშილობის სტრატეგიული მიმდინარეობის ფარგლებში“, — ნათქვამია განცხადებაში.

პირველი

# ვანო მერაბიშვილი საკანში ტელევიზორის დადგმას ამ დრომდე უშედეგოდ ითხოვს

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი საკანში ტელევიზორის დადგმას ამ დრომდე უშედეგოდ ითხოვს.

როგორც „პირველს“ მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განუცხადა, ყოფილი პრემიერ-მინისტრისთვის ჯერ არ მიუციათ ნებართვა, რომ საკანში ტელევიზორი შეიტანოს.

ჩივიაშვილის თქმით, ადვოკატებმა აღნიშნული მოთხოვნით განცხადებების უფლებამოსილი პირების სახელზე უკვე არაერთხელ დაწერეს, თუმცა ციხის ადმინისტრაცია არც უარს აცხადებს და არც თანხმობას.

მერაბიშვილისთვის ტელევიზორის მიცემის საკითხზე კომენტარი 4 ივნისს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა და განაცხადა, რომ პატიმრობის კოდექსის თანახმად, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერაა შემუშავებული, სანიმუშო ყოფა-ქცევის შემთხვევაში მერაბიშვილს წახალისების მიზნით ტელევიზორი და რადიომიმღებიც გადაეცემა.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონი ვანო სანიმუშოდ იქცევა“, — დასძინა მინისტრმა.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ ვეტო დაძლია

. საქართველოს პარლამენტმა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" ცვლილებების შესახებ პრეზიდენტის ვეტო დაძლია. ვეტოს დაძლევას მხარი 92 დეპუტატმა დაუჭირა, 33 კი წინააღმდეგი წავიდა.

თავდაპირველად კენჭი უყარეს კანონპროექტის პრეზიდენტისეულ ვერსიას, რომელსაც მხარი მხოლოდ 32 დეპუტატმა დაუჭირა, 81 კი წინააღმდეგი წავიდა, პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის მიბრუნებული შენიშვნები ორ ძირითად საკითხს – კანონპროექტის რიგი მუხლების ძალაში შესვლის ვადებსა და დაცვის მხარესთან დაკავშირებულ უფლებებს ეხებოდა.

უმრავლესობის წევრების თქმით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი მთლიანობაში პროგრესულია და ცალსახად ზრდის დაცვის მხარის უფლებებს სისხლის სამართლის საქმეში.

**მედიანიუსი**

## კადიევისა და ომაროვის მიმართ გამოტანილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება

იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულების, მიკაელ კადიევისა და რიზვან ომაროვის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც მათ 50-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დაკავებულების ადვოკატმა ირმა ინასარიძემ განაცხადა, ბრალდების მხარემ ბრალდებულების მიმართ უდანაშაულობის პრეზუმპცია დაარღვია.

მისი თქმით, თავდაპირველად გაცხადებული იყო ბრალდების მხარის მიერ, რომ აღნიშნული პირები ტერაქტის მცდელობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა ბრალი წაყენებული აქვთ 236-ე მუხლის საფუძველზე, რაც იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს და ნაკლებად მძიმე დანაშაულად ითვლება.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდების მხარის მიერ წინასწარი ინფორმაციის გავრცელებამ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იმოქმედა და ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მისი დაცვის ქვეშ მყოფებს მოსამართლემ ყველაზე მძიმე აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა განუსაზღვრა.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდების მხარემ დაასაბუთა, თუ საიდან ჰქონდა დაკავებაში მონაწილე ვიზუალური კონტროლის განმახორციელებელ სამართალდამცველებს ინფორმაცია, რომ კადიევი და ომაროვი ტერაქტის მოწყობას აპირებდნენ

შეგახსენებთ, რომ კადიევსა და ომაროვს საქალაქო სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა გუშინ შეუფარდა.

**მედიანიუსი**

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვით ღონისძიებაში მონაწილეობს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად ჩაერთო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კამპანიის „მწვანე თვის" ფარგლებში მიმდინარე დასუფთავების აქციაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებმა სამინისტროს მიმდებარე ტერიტორია ბალახისა და პოლიეთილენის პარკებისგან გაასუფთავეს. აქციის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მინისტრმა, შალვა ფიფიამ თანამშრომლებთან ერთად სამინისტროს ეზო დაასუფთავა.

„ჩვენ გადავწყვიტეთ ჩავრთულიყავით დასუფთავების აქციაში და თანამშრომლებთან ერთად ვასუფთავებთ სამინისტროს ეზოს. იმედი გვაქვს, რომ მსგავსს აქციებს მიეცემა სისტემატიური ხასიათი და მომავალ წლებშიც გაგრძელდება", – განაცხადა შალვა ფიფიამ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე აქციას შეუერთდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგოლაძეც.

„ჩვენი სამინისტროს ინიციატივით, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოცხადდა საყოველთაო დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩაერთო ბევრი ორგანიზაცია, მათ შორის აქტიური მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელიც წარმოდგენილი იყო სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო სტრუქტურების თანამშრომლებით, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ",-განაცხადა ხათუნა გოგოლაძემ.

„მწვანე თვის" ინიციატივა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" მხარდაჭერით.

**მედიანიუსი**

# ვანო მერაბიშვილი, შეიძლება, პატიმრობიდან გაათავისუფლონ

### ვის წისქვილზე ასხამს წყალს აშშ-ის კონგრესის განცხადება

შორენა მარსაგიშვილი

**ჩვენი მრავლისმნახველი და მრავლისმომსწრე ქვეყანა უკვე შეგუებულია, რომ მის საშინაო საქმეებში ვიღაც აუცილებლად უნდა ერეოდეს. ამ მხრივ ვითარება არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეცვლილა. მეოცნებეები საკუთარ მოსახლეობაზე მეტად ანგარიშს ევროპასა და ამერიკას უწევენ. სწორედ მათი დაჟინებული მოთხოვნით წავიდნენ მეოცნებეები კოჰაბიტაციაზე, რაც საქართველოს მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. მოსახლეობამ კოალიცია „ქართულ ოცნებას" ხმა იმიტომ მისცა, რომ მათ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პირობა დადეს.**

საქართველოში სამართალი ჯერ ისევ ურმით დადის. ამის მიუხედავად დასავლეთი უკმაყოფილოა. საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გაუარესებას ხანდახან ნატოც დასტირის ხოლმე. ამ დღეებში საქართველოში დემოკრატიის შუქურის ჩაქრობის გამო შეშფოთება აშშ-ს კონგრესმა გამოხატა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გატარებულმა ზომებმა, რომლებიც გარკვეულწილად, პოლიტიკური მოსაზრებებით არის მოტივირებული, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობაზე.

კონგრესის მიერ მიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო აშშ-ის ღირებული მოკავშირეა, რომელიც ავღანეთში აისაფის ოპერაციებში მონაწილეობით, „ორი ქვეყნის საერთო ინტერესებისადმი ერთგულების დემონსტრირებას ახდენს" და სწორედ ამიტომ, კონგრესი აცხადებს, რომ როდესაც მნიშვნელოვან მოკავშირე სახელმწიფოში დემოკრატიის კუთხით ნაბიჯის უკან გადადგმა ხდება, აშშ-ის პოზიცია ორაზროვანი არ უნდა იყოს.

– საქართველო არის ძალზე ღირებული მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომელიც მუდმივად ახდენს ორი ქვეყნის საერთო ინტერესებისადმი ერთგულების დემონსტრირებას, მათ შორის, ქართული შეიარაღებული ძალების მონაწილეობით ავღანეთში ნატო-ს მეთაურობით საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერის ძალებისა და ერაყში მულტიეროვნული ძალების მიერ წარმოებულ ოპერაციებში. საქართველოში, 2012 წლის ოქტომბრის თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება წარმოადგენს მთავარ მიღწევას ქართველი ხალხის მიერ თავისუფალი საზოგადოებისა და სრულყოფილი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე, თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გაატარა მთელი რიგი ზომები ყოფილი თანამდებობის პირებისა და ამჟამინდელი პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ, რაც როგორც ჩანს, პოლიტიკური მიზნებით იყო მოტივირებული, – ვკითხულობთ დოკუმენტში.

კონგრესის განცხადებაში ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი განცალკევებულად არის ნახსენები. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჭორების გავრცელება. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ მეოცნებეებს ძალიან მალე მოუწევთ მერაბიშვილის ციხიდან გამოშვება.

დოკუმენტში ნაციონალების დევნაზეც არის საუბარი. კონგრესმენები ჩივიან, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ მიმართული ძალადობის პრევენციისა და თავდამსხმელთა დასასჯელად ხელისუფლებამ არასაკმარისი ზომები მიიღო.

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში ყოფილი ხელისუფლების 100-ზე მეტ თანამდებობის პირს სისხლის სამართლის საქმეზე ბრალი წარედგინა. სისხლის სამართლის ბრალი წაუყენეს პოლიტიკური ოპოზიციის წევრებს, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს. ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავება განსაკუთრებით პრობლემატურია, თუკი გავითვალისწინებთ ამ ნაბიჯის უარყოფით გავლენას პოლიტიკურ თავისუფლებაზე 2013 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების წინ. საქართველოს მთავრობამ არასაკმარისი ზომები მიიღო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და თავდამსხმელთა დასასჯელად. ამგვარი ნაბიჯები კითხვის ქვეშ აყენებს საქართველოს მთავრობის სწრაფვას თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების



შექმნისკენ, რომელშიც ძირითადი თავისუფლებები, მათ შორის პოლიტიკური ოპოზიციის თავისუფლება, გარანტირებული უნდა იყოს.

საქართველოს მთავრობის მიერ ყოფილი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გატარებულ ზომებმა, რომლებიც გარკვეულწილად, პოლიტიკური მოსაზრებებით არის მოტივირებული, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობაზე, მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში უფრო ძლიერი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, ისევე როგორც საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების პროგრესზე. აშშ-ის პოზიცია არ უნდა იყოს ორაზროვანი, როდესაც მნიშვნელოვან მოკავშირე სახელმწიფოში დემოკრატიის კუთხით ნაბიჯის უკან გადადგმა ხდება პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალაუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გადაცემის შემდგომ, – ნათქვამია დოკუმენტში.

გამოთქმული შენიშვნების პარალელურად, კონგრესი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც მხარს უჭერს ქართველი ხალხის მიერ საკუთარ ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას.

როგორც მოსალოდნელი იყო აშშ-ს კონგრესის განცხადებამ ერში დიდი ფორიაქი გამოიწვია. საქართველოს პრეზიდენტს გულიც კი მოუკვდა ამ დასკვნის გამო. და ალბათ ამიტომაც გავარდა სასწრაფოდ იტალიაში. იტალიაში წასვლამდე კი რამდენიმე განცხადება გააკეთა.

გულმოკლული პრეზიდენტის განცხადებით, აშშ-ს კონგრესი არის ორგანიზაცია, რომლის მოსყიდვა და დაშინება შეუძლებელია.

– მე მათ საყურადღებოდ მინდა, ვთქვა, ვინც ამბობს, რომ „ნაციონალებმა" კონგრესმენები დაალობირეს, მოისყიდეს. ბოლო დელეგაცია აქ რომ იმყოფებოდა, ჩვენი ღვინოს შეთავაზება გვინდოდა. ამერიკის კონგრესმენებმა ამაზეც კი უარი თქვეს, ისეთი მკაცრი წესები აქვთ იქ ლობირების, კორუფციასთან ბრძოლის. მათი მოსყიდვა რომ შეიძლებოდეს, მსოფლიოს მილიარდერები და მდიდარი ქვეყნები, დიდი ხნის წინ იყიდდნენ ყველას. ეს არის ორგანიზაცია, რომლის მოსყიდვა და დანიშნება შეუძლებელია. ეს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს კონგრესია, მთავარი ორგანოა, რომელიც აშშ-ს მართავს. კონგრესი უბრალოდ უყურებს იმას, რაც ხდება და თავის დასკვნებს გამოთქვამს და დასკვნები ძალიან მძიმეა, – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი გვაფრთხილებს, რომ საქართველომ ამერიკის რჩევები უნდა გაითვალისწინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თქმით, რუსეთის პირისპირ დავრჩებით.

– ეს განცხადება რომ ვნახე გული მომიკვდა, იმიტომ რომ ამერიკის კონგრესი წინა წლებში იღებდა და წესით, უნდა მიეღო განცხადება, სადაც საუბარი იქნებოდა, რომ საქართველოს იარაღი უნდა მისცენ, ქართული არმია აღჭურვონ, ნატო-ში ინტეგრაცია დააჩქარონ და ამის მაგივრად, პირველად ისტორიაში მიიღო რეზოლუცია საქართველში დემოკრატიის შეზღუდვის და საქართველოს უკუსვლის შესახებ. მსგავსი არაფერი არასდროს მომხდარა და ეს ყველაფერი როგორც ჩანს, გაფართოებულ სხდომაზე დამტკიცდება. წინა წლებში, რასაც ვაკეთებდით, პრაქტიკულად ყველაფერი წყალში გვეყრება. 2008 წელს ამერიკამ ფლოტი გამოაგზავნა, ჰაერში ავიაცია ასწია და საქართველოს დამოუკიდებლობა ამან გადაარჩინა. ამას მათთვის ვამბობ, ვისაც აინტერესებს, რატომ არის ამერიკა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი. საქართველო დღეს არსებობს, იმიტომ რომ ამერიკა გვერდზე დაგვიდგა. თუ ამერიკა არ დაგვიდგება გვერდზე, ჩვენ ვრჩებით ონიშჩენკოს პატრონი ქვეყნის ამარა, ამიტომ აქ არჩევანიც არ არის. თუ იმაზე უარს ამბობ, მაშინ ავტომატურად მეორეს ხელში აღმოჩნდები, – განაცხადა სააკაშვილმა.

კონგრესის განცხადების გამო დეპუტატი სერგო რატიანიც შეშფოთებულია. მისი განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში ყოველი უკან გადადგმული ნაბიჯი რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებაა.

– ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლად არ უნდა გადაიქცეს და ეს არის გასათვალისწინებელი. აშშ-თან ურთიერთობაში ყოველი უკან გადადგმული ნაბიჯი საქართველოსთვის უსაფრთხოების პრობლემის შექმნა და რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებაა, – განაცხადა დეპუტატმა რატიანმა.

კონგრესის განცხადებას სულ სხვანაირად შეხვდნენ მეოცნებეები. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, მას უტყუარი ინფორმაცია აქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის კანონპროექტის ვერსიაში არსებული ჩანაწერის სულისკვეთებას თეთრი სახლი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი არ იზიარებს.

საინფორმაციო სააგენტო „პირველთან" საუბარში ზალკალიანმა განმარტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს განცხადება არ გაუვრცელებია და ეს მხოლოდ წარმომადგენლობითი პალატის კანონპროექტის ვერსიაში კონგრესმენ მაიკ ტერნერის ჩანაწერია და არასწორია, როცა მედიასაშუალებები გავრცელებულ დოკუმენტს აშშ-ის კონგრესს მიაწერენ.

– მაშინ, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ვიზიტით აშშ-ში იმყოფებოდა, კონგრესმენი ტერნერი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვის მიზნით, საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ კანონპროექტის ჩვენი ქვეყნისთვის ხელსაყრელ ფორმულირებას მტკიცედ უჭერდა მხარს, შემდგომ კი მისი ინიციატივით წარმომადგენლობითი პალატის კანონპროექტის ვერსიაში უაღრესად მიკერძოებული ჩანაწერი გააკეთა, რაც სავარაუდოდ, საქართველოში კერძო ინტერესებით მოქმედი პირების ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა, – განაცხადა ზალკალიანმა.

მინისტრის მოადგილის თქმით, ვიდრე კანონის მიღება მოხდება, მანამდე აშშ-ის კონგრესის სენატმა და წარმომადგენლობითმა პალატამ ვერსიები უნდა შეაჯერონ, შემდეგ კი კანონპროექტი პრეზიდენტს გადაეგზავნება.

– ის ფაქტი, რომ კონგრესმენი ტერნერი საქართველოს ჭეშმარიტი მეგობარია, გვაფიქრებინებს, რომ კონფერენციაზე, სადაც უნდა შეჯერდეს სენატის და წარმომადგენლობითი პალატის ვერსიები, კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში საქართველოსთვის სასურველი ფორმულირების შეტანა მოხერხდება. ამის შემდეგ კანონპროექტი გაეგზავნება პრეზიდენტს ხელმოსაწერად, – აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ზალკალიანი ნაციონალებს მოუწოდებს საქართველოს უსაფრთხოების და ქართულ-ამერიკულ ურთიერთობათა საკითხებით მანიპულირებას თავი დაანებონ.

– ასეთ საკითხებში ყველამ – ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა გააერთიანოს ძალისხმევა და თუკი ვინმე ხარობს ამგვარი ჩანაწერით, ის ან პოლიტიკურად უმეცარია, ან შეგნებულად მავნებლობს, – განაცხადა ზალკალიანმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ გამოქვეყნებული განცხადების მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში არაფერი შეიცვლება.

– აშშ-სა და საქართველოს მეგობრობასა და ურთიერთობას თვალსაწიერი მომავლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება. ეს არის სტრატეგიული პარტნიორობა, ერთის მხრივ დამყარებული ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ დოკუმენტებზე, მეორეს მხრივ კი – ჩამოყალიბებულ ურთიერთობაზე. ნებისმიერ ქვეყანაში ისეთი პირის დაკავება, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მინისტრი იყო, შემდგომ კი – პრემიერ-მინისტრი, დიდ ინტერესს იწვევს. ეს ასეა ხოლმე, როდესაც ჩვენამდე აღწევს ცნობები რომელიმე ქვეყააში ამ რანგის თანამდებობის პირების დაკავების თაობაზე. ამიტრომ სრულიად ბუნებრივია ინტერესი, – განაცხადა უსუფაშვილმა.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ ამ განცხადების გამო მერაბიშვილს პატიმრობიდან გაათავისუფლებენ. მეოცნებეები კი მისთვის ბრალის დამძიმებას არ გამორიცხავენ.

ისე ერთი რამ არის საინტერესო, აშშ-ს კონგრესი აქამდე რატომ არ შფოთავდა ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების გამო. ეტყობა ნაციონალების მიერ მაღალჩინოსნების დაკავება დემოკრატიას სჭირდებოდა.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „სკანდალური ფირები მათი განადგურების შემდეგაც გავრცელდება“

გულიკო ბალაძე



**ახლა მიმდინარე სასამართლო პროცესების გაშუქებისას საინფორმაციო საშუალებებით ხშირად აცხადებენ, თითქოს პროკურორები ანუ სახელმწიფო ბრალდება ძალიან სუსტად გამოდის, რადგან მათ არ აქვთ მტკიცებულებები. თუ ყველაფერი გაანადგურეს, მტკიცებულებები როგორ იქნება?**

**ცოტა ხნის წინ შს სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ გაანადგუროს ის ფირები, რომელიც წარმოადგენს უკანონო მოსმენების ჩანაწერებს.**

ჩანაწერების განადგურებას ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ეწინააღმდეგებოდა, რადგან ის ამ უკანონო მოსმენების გამკეთებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულებას წარმოადგენს.

ზოგი არასამთავრობო ორგანიზაცია მოითხოვდა მის განადგურებას, რადგან უკანონოდ იყო მოპოვებული.

ახლა საუბარია კოპირებული ფირების სამართალდამცავი ორგანოებისთვის ნებაყოფლობით გადაცემასა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც ამგვარი ფირის ქონის შემთხვევებზეა.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე გახლავთ ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს შს სამინისტროში არსებული ფირების განადგურებას, რადგან ისინი წარმოადგენენ წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილი სისტემური დანაშაულის მტკიცებულებას.

— შს სამინისტროში არსებული მასალები დადგენილებით მტკიცებულებად უნდა იქნეს მიღებული, გამოძიება უნდა დაიწყოს და ის, ვინც ამ მასალების განადგურებაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, ის იქნება სისხლის სამართლის დამნაშავე, ვინაიდან არ შეიძლება მტკიცებულებების განადგურება, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

ნიკოლოზ მჟავანაძე მოუწოდებს ხელისუფლებას, არ გაანადგუროს შს სამინისტროში არსებული მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილ სისტემურ დანაშაულს.

— აღნიშნული ფირები წარმოადგენს მტკიცებულებას და არ შეიძლება, ჩვენ ამ მტკიცებულების განადგურების შემდეგ, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დავსვათ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ გაანადგუროს შს სამინისტროში არსებული მტკიცებულებები.

როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, წესით, აქამდე უნდა გამოკვეთილიყვნენ ის პირები, რომლებმაც ამ მასალების შექმნაში მიიღეს მონაწილეობა.

—სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ კუთხით შედეგი არ გვაქვს. ვფიქრობთ, გამოძიება უნდა ჩატარდეს მყისიერად, ეფექტურად, რისთვისაც სოლიდური საგამოძიებო ჯგუფი უნდა შეიქმნას, ასეთი რამ შემდგომში რომ აღარ გამეორდეს. ბიძინა ივანიშვილი სწორი იყო, როცა განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას გარკვეული ბანკი, სადაც იქნება შენახული შს სამინისტროში არსებული მასალები ისე, რომ მავანს ხელი არ მიუწვდებოდეს და არ მოხდეს მისი გავრცელება. ვთქვათ, ამ დანაშაულებში ბრალი მიუძღვის ბაჩო ახალაიას ან დათა ახალაიას. თუ მათ წაუყენებენ ბრალს, არ გვექნება მტკიცებულებები. როდესაც ეტყვიან, შენ ჩაიდინე აღნიშნული დანაშაულიო, გეტყვის, არ ჩამიდენია აღნიშნული ფაქტიო. შენ ეუბნები, ჩაიდინე. ის გეუბნება, მანახე, რა ჩავიდინეო და შენ არ გაქვს მტკიცებულება. როგორ უნდა მისცე ის პირი პასუხისგებაში? — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძის მტკიცებით, არც ერთი სისხლის სამართლის სპეციალისტი, არც ერთი ამ დარგში მომუშავე სპეციალისტი არ გაიზიარებს მტკიცებულებების განადგურების პოზიციას. ეს არის უდიდესი შეცდომა. ჩვენ ამით ნაბიჯი გადავდგით დანაშაულის დაუსჯელობისკენ.

— რეალურად, ეს არის დაუსჯელობა და შემდგომშიც გაგრძელდება ასეთი რამ. შს სამინისტროში ამდენი მასალა გროვდებოდა. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი ხორციელდებოდა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რადგან შეუძლებელია, ასეთი ჩანაწერები ხელისუფლების უმაღლესი რგოლების ნების გარეშე მომხდარიყო. ახალმა ხელისუფლებამ ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, გამოაცხადა სრული ამნისტია აღნიშნულ დანაშაულებზე და ის ხალხი, რომელიც ათას სიბინძურეს ჩადიოდა, დაუსჯელი დარჩება. ასე გადაწყვიტეს იმის შიშით, არ გავრცელებულიყო ფირები. შეიძლება, ის ფირები მაინც გავრცელდეს. კოპირება ექნებათ გაკეთებული და, როცა მოუნდებათ, გაავრცელებენ. ამასთან, არის გამორიცხული, ამას ვინც აკეთებდა, კიდევ ხელისუფლებაში იყოს. ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ მონაწილეობდა, ვინ გაავრცელა. მის გადაღებაში ასეულობით ადამიანი მონაწილეობდა, — მიაჩნია ნიკოლოზ მჟავანაძეს.

***— ბატონო ნიკა, თუკი შს სამინისტროს გადაწყვეტილი ჰქონდა, გაენადგურებინა აღნიშნული ფირები, მაშინ არასამთავრობოები რატომღა მიგიწვიათ?***

— კომისიის წევრები აირჩიეს. ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომელიც ამ ფირებს დაახარისხებს. თქვეს, სრულად არ გავანადგურებთ, რაღაც ნაწილს დავტოვებთო. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება დახარისხდეს. როგორ უნდა დაახარისხო.

***— ანუ ყოველი ფირი არის ნივთმტკიცება კონკრეტული პირების მიერ ჩადენილი უკანონობის დასამტკიცებლად.***

— დიახ და ნივთმტკიცებას რომ ანადგურებ, იქნებ ის უფრო მნიშვნელოვანია. მიგვიწვიეს იმისათვის, რომ შეექმნათ ილუზია, თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას იღებენ არასამთავრობოებთან კონსულტაციებით, რაც არის სრული ნონსენსი — გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ და, ფაქტობრივად, ის შეხვედრა იყო შეხვედრისთვის და არაფერი რეალური შედეგის მომტანი არ ყოფილა.

***— თქვენ რომ თქვით, განადგურება არ შეიძლებაო, რა გიპასუხეს?***

— სხვათა შორის, ჰამერბერგიც იყო იქ და იმანაც თქვა, გარკვეული პოზიცია გასაზიარებელია, ამ ფირების შენახვა შესაძლებელია, ვინაიდან, რეალურად, ამის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხს როგორ დასვამთო, მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებებია. ამაზე იყვნენ ჩაციკლული სხვებიც. უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები კი არის, მაგრამ...

***— უკანონოდ მოპოვებული რომ არის, სწორედ ამის მტკიცებულებას წარმოადგენს შს სამინისტროში აღმოჩენილი აღნიშნული ფირები ანუ ვინც უკანონობა ჩაიდინა, მისი დანაშაულის დასამტკიცებლად არ არის საჭირო?***

— რა თქმა უნდა, რადგან უკანონოდ იქნა მოპოვებული, სწორედ ამიტომ არის მტკიცებულება. ეგენი უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებას აიგივებენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით, როდესაც შენ გასცემ სანქციას მოსმენაზე, მიყურადებაზე და უნდა მოხდეს დანაშაულებრივი ფაქტის ჩაწერა და ამ დროს ჩაწერა ხდება, ვთქვათ, სქესობრივი აქტის, ის უნდა განადგურდეს, რადგან საქმესთან შემხებლობაში არ არის, მაგრამ, როდესაც სისტემატურად ხდებოდა ისეთი ჩაწერები, რომელიც გამიზნული იყო სპეციალურად მსგავსი ფაქტის ჩასაწერად, ეს უკვე არის მტკიცებულება და ამას გამოძიება ურთავს საქმეს, შემდგომში ხდება მისი განადგურება. ჩვენ წინააღმდეგი კი არ ვართ მსგავსი ფირების განადგურებისა, მაგრამ მათი განადგურება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც პასუხისგებაში მიეცემოდა ის ხალხი, ვინც აკეთებდა უკანონო ჩაწერებს.

***— ბატონო ნიკა, როგორც ვიცი, სასამართლო გადაწყვეტილებით, მტკიცებულებების გარკვეული ნაწილის განადგურება ხდება საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ, როცა აღნიშნული მტკიცებულებები საჭირო აღარ არის.***

— რა თქმა უნდა, თუკი მორჩება ყველა ინსტანციაში საქმის სასამართლო განხილვა მორჩება, კონკრეტული მტკიცებულება გასანადგურებელია თუ არა, ამას სისხლის სამართლის პროცესი არეგულირებს. როდესაც უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება საქმეზე, გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია მისი განადგურება, მაგრამ ისეთი აბსურდული გადაწყვეტილება, რაც მიიღო ხელისუფლებამ, არც გამიგია, მაგრამ გარკვეული არასამთავრობოების ლოგიკა იყო, რადგან ფარესიშვილის კადრები გავრცელდა, სხვა კადრებიც კიდევ რომ არ გავრცელდეს, ამიტომ უნდა განადგურდეს. ეს არ არის სწორი მიდგომა. ვისაც მსგავსი კადრების გავრცელება უნდა, ისედაც გაავრცელებს, იმიტომ რომ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ამაზე, ამ კადრების კოპირებას გააკეთებდა და, როცა უნდა, მაშინ გაუშვებს ინტერნეტში. ჩვენ უნდა ვიყუროთ ახლა იმას, კიდევ ვინ გაუშვებს მსგავს კადრებს და ამის გამო პასუხი არ უნდა აგოს. ზოგი ამბობს, ამნისტირებული მუხლიაო. როგორ არის ამნისტირებული მუხლი? ის ჩაწერონ, რასაც ჩვენ ვითხოვთ, რომ სანქცია უნდა გაიზარდოს, მაგრამ ის, ვინც არ იღებდა, მაგრამ უკვეთდა, სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაა ანუ რეალურად სხვა მუხლებია. ის მუხლებია, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიაში რომ შედის. 2 წლით თავისუფლების აღკვეთას რომ ითვალისწინებს, ის, რა თქმა უნდა, ამნისტირებულია, მაგრამ ამ მუხლებით არ უნდა მიცემულიყვნენ ადამიანები პასუხისგებაში. იქ დავალება ზემოდან მიეცა. შეიძლება, ვიღაცას ჰგონია, რომ კონკრეტულმა პირმა თავისი ნებით განახორციელა მოსმენები, რაც აბსურდია. ამ გადაწყვეტილებით, სამართალი და სამართლიანობა გაუპატიურებულ იქნა იმ ფორმით, რა ფორმითაც ხდებოდა (ბოდიში) იქ ადამიანების გაუპატიურება კადრებში. ასეა იმიტომ, რომ, რეალურად, მსგავსი აბსურდული, დაუსაბუთებელი და სულელური გადაწყვეტილება კარგა ხანია საქართველოს ხელისუფლებას არ მიუღია.

## მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოს მეტი კონტაქტები, მეტი ურთიერთობა სჭირდება“



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „საქართველოს მეტი კონტაქტები, მეტი ურთიერთობა სჭირდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი პრეზიდენტი აღარ იქნება“.

ამის შესახებ იტალიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა სააკაშვილმა გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის მსოფლიო ორგანიზაციის 38-ე საერთაშორისო კონფერენცია სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„აქ ჩვენმა მეგობრებმა იციან, რომ საქართველო წარმატებული ქვეყანა გახდა და შემდეგ მათ თავიანთ კონტინენტებზე მიაქვთ ის ამბავი, რომ საქართველო მართლაც მაგარი ქვეყანაა. რუსეთმა ამ კონტინენტებზე, რომელთანაც ვმეგობრობთ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო აღიარების მიღება ვერ შეძლო. სწორედ იმის გამო, რომ მე პირველად დავუმეგობრდი ამ ხალხს, ამის გარდა ჩვენ გვაქვს პატივისცემა, როგორც ქვეყანას. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გვქონდა წარმატებები და შემდგომი მთავრობა სულ უფრო მეტად წარმატებული უნდა იყოს. ეს არის ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების გარანტია. ჩვენ გვჭირდება მეტი კონტაქტები, მეტი ურთიერთობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე პრეზიდენტი აღარ ვიქნები. მე ამ ხალხთან პიროვნული ურთიერთობები მაქვს. მე სიამოვნებით გავიზიარებ ახალ მთავრობას, გავაცნობ, ჩავახუტებ ამ ხალხთან იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა წინ წავიდეს და ჩვენს მიმართ მხადაჭერა და სიმპათია ყველაგან იყოს“, — განაცხადა სააკაშვილმა.

**პირველი**

## ირაკლი მენაღარიშვილი: „აშშ-ის კანონმდებლებთან მიმდინარე საკითხების შესახებ კომუნიკაციაში ხარვეზები გვაქვს“



საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ექსპერტის ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებთან მიმდინარე საკითხების შესახებ კომუნიკაციაში ხარვეზები აქვს.

ამის შესახებ მენაღარიშვილმა „პირველთან“ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობათა პალატის კანონპროექტის ვერსიაში არსებული ჩანაწერის კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს მთავრობის მიერ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გატარებულმა ზომებმა, რომლებიც გარკვეულწილად, პოლიტიკური მოსაზრებებით არის მოტივირებული, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობაზე“.

ზოგადად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება საქართველოს მხარდაჭერისაკენ არის მიმართული.

„ეს განცხადება ქვეყნის მხარდაჭერისკენ არის მიმართული, მაგრამ საკმაოდ კრიტიკულ ელემენტებს შეიცავს, რომელიც საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას ეხება. კანონპროექტის ვერსიაში ეს ჩანაწერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენ მიმდინარე საკითხებზე აშშ-ის კანონმდებლებთან მკაფიო კომუნიკაცია არ გვაქვს. ამ მიმართულებით ხარვეზებია. მიუხედავად ამისა, ვიდრე უფრო დეტალურად შევაფასებთ, საჭიროა, გაირკვეს რა პირობებში ჩამოყალიბდა ეს კანონპროექტი და სად იყო ქართული მხრიდან შეცდომა დაშვებული“, — განაცხადა მენაღარიშვილმა.

ექსპერტი ეთანხმება საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მსგავსი ჩანაწერი საქართველოში კერძო ინტერესებით მოქმედი პირების ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა, თუმცა იქვე დასძენს, რომ „კონგრესმენები დასკვნებს მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით არ აკეთებენ“.

**პირველი**

## პარლამენტში რეზოლუციის „რეჟიმი უნდა გასამართლდეს“ საკომიტეტო მოსმენა გაიმართება

დღეს პარლამენტში რეზოლუციის „რეჟიმი უნდა გასამართლდეს“ საკომიტეტო მოსმენა გაიმართება. ამის შესახებ „პირველს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა.

მისი თქმით, საკანონმდებლო ორგანოში იმ რეზოლუციის საკომიტეტო მოსმენა, რომლიც 19 მაისს სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე იქნა მიღებული, დღეს, 14:00 საათზე გაიმართება.

საკომიტეტო მოსმენას თავად ნანა კაკაბაძე და მოძრაობა „სამართლიანობა უნდა აღდგეს“ წევრები დაესწრებიან. შეგახსენებთ, რომ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დაზარალებული მოქალაქეების ინიციატივით, სპორტის სასახლეში 19 მაისს ყრილობა გაიმართა, რომელზეც ახალი სამოქალაქო მოძრაობა დაფუძნდა. მოძრაობის ლოზუნგია „სამართლიანობა უნდა აღდგეს, რეჟიმი უნდა გასამართლდეს“. ამასთან, ყრილობაზევე მიღებული იქნა რეზოლუცია „რეჟიმი უნდა გასამართლდეს“.

**პირველი**

## თეა წულუკიანი და გოჩა ლორთქიფანიძე ოფიციალური ვიზიტით სომხეთში გაემგზავრნენ



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე ოფიციალური ვიზიტით სომხეთში გაემგზავრნენ. როგორც „პირველს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, მეზობელ ქვეყანაში იუსტიციის მინისტრი რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრას გამართავს. კერძოდ, თეა წულუკიანი სომხეთის პრემიერ-მინისტრს, იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორსა და სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდება.

ამასთან, მინისტრი და მისი მოადგილე შეხვედრებს სომხეთის ნოტარიუსთა პალატისა და სომხეთის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელებთან გამართავენ.

სამინისტროს ცნობით, შეხვედრებზე განხილული იქნება ის რეფორმები და ცვლილებები, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში იუსტიციის სამინისტრომ გაატარა. განიხილება ასევე სამართლის სფეროში ორ ქვეყანას შორის შემდგომი თანამშრომლობა. თეა წულუკიანისა და გოჩა ლორთქიფანიძის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში 19 ივნისს დასრულდება.

**პირველი**

# ლადო პაპავა: „უნივერსიტეტს პირველი მიხეილ სააკაშვილი დაუპირისპირდა“

**აკადემიკოსი ლადო პაპავა განათლების კანონთან დაკავშირებით ნაცმოძრაობისა და გიგი თევზაძის გუნდის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს პოლიტიკური ინტერესებით ხსნის. პაპავას თქმით, სააკაშვილის გუნდის წევრებს არ უნდათ, უნივერსიტეტზე კონტროლი დაკარგონ.**

**ლადო პაპავას თქმით, მისთვის მისაღები არ არის უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნა, თუმცა გარდამავალი პერიოდისთვის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება გასაგებია.**

**რა ამბიცია აქვს ლადო პაპავას, იქნება თუ არა ის უნივერსიტეტის არჩეული რექტორი და რატომ არ უნდა მას, რომ რესპუბლიკელების პოზიციამ განათლების კანონში ცვლილებების მიღებას შეუშალოს ხელი, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს აკადემიკოს ლადო პაპავასთან.**

შორენა კოწოწაშვილი



***— ბატონო ლადო, მართლაც ასეთი საგანგაშოა ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო?***

— დავიწყოთ იმით, რომ დაპირისპირება ხელისუფლებასა და უნივერსიტეტებს შორის თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო. ეს იმით დასრულდა, რომ უნივერსიტეტებიდან გაიდევნა არაერთი გამორჩეული პროფესორი. არ მინდა ვთქვა, რომ ის, ვინც დარჩა, ყველა უღირსია, მაგრამ ძალიან ბევრი ღირსეული პროფესორი გაიდევნა. ხდებოდა, პრაქტიკულად, ნაციონალებისადმი ლოიალურობის პრინციპებით უნივერსიტეტების ხელმძღვანელი ორგანოების დაკომპლექტება და შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლების კარნახით არჩევა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამან შელახა უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის იდეა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ ხუბუამ შეიყვანა უნივერსიტეტში პოლიცია, რაც საერთოდ უნივერსიტეტის იდეას ეწინააღმდეგება. ამიტომ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა იყო სტანდარტული მოდელი ქცევის, რომელიც ნაციონალური მოძრაობიდან მოდიოდა. ბუნებრივია, დადგა საკითხი, რომ სიტუაცია აუცილებლად უნდა გაჯანსაღდეს.

***— ობიექტურად აკრიტიკებს, იგივე გიგი თევზაძის გუნდი და საპარლამენტო უმცირესობა, რომ ახალი კანონი უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას ავტონომიურობასართმევს?***

— ეს გუნდი რომ გამოთქვამს პროტესტს, გასაგებია. განათლების სისტემამ ნაციონალების ხელში სერიოზული წნეხი განიცადა, რის შედეგადაც ნაციონალებმა თავიანთი სასურველი კადრები შეინარჩუნეს. ეს არ ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი პროფესორი იყო უნივერსიტეტში ნაციონალების მომხრე, მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებიც ბუნებით მორჩილები არიან. ხშირად მსმენია ამ პროფესორებისგან საკმაოდ დიდი გულისტკივილი იმაზე, რაც უნივერსიტეტში ხდებოდა. ამ ვითარებაში, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, „თევზაძის გუნდმა“ უნივერსიტეტები მოირგო თავის თავზე. შექმნეს თავიანთი აკადემიური საბჭოები, რომლებსაც თავისი თავი აარჩევინეს, შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი შეცვალეს არამომგებიანი არაკომერციული ორგანიზაციის სტატუსით. ამით მათ მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ბატონებმა თევზაძემ, რატიანმა და ძმანმა მათმა პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ხელი მოაწერინეს სამთავრობო გადაწყვეტილებაზე, რითაც ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის დამფუძნებელი სახელმწიფოსთან ერთად თანაბარ წილში არის ასევე არაკომერციული არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც სწორედ ამ პირებმა დააფუძნეს. ამით, პრაქტიკულად, უნივერსიტეტის ფარული „პრივატიზაცია“ განახორციელეს. ახლა ამბობენ, რომ თუ ამ კანონს მივიღებთ, უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა ილახება. ფორმალურად ამ პირების ინტერესები ილახება და არა უნივერსიტეტის ავტონომიურობა.

***— თქვენი აზრით, ასეთი მკვეთრი თავდასხმის ობიექტი უნდა იყოს თუ არა განათლების ახალი კანონი, რომელსაც სრულად მხარს არც უმრავლესობა უჭერს?***

— ნაციონალები, რა თქმა უნდა, თავს დაესხმებიან, იმიტომ რომ ამ კანონით იკარგება მათი გავლენა უნივერსიტეტებზე. კანონპროექტში არის ჩანაწერი, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. მე, როგორც მეცნიერსა და პროფესორს, რა თქმა უნდა, ეს ჩანაწერი არ მომწონს, მაგრამ მესმის ამ ჩანაწერის არსი. გეტყვით, რატომ. შექმნილი სიტუაციიდან, რაც არის უნივერსიტეტებში, შეიძლება, ეს იყოს გამოსავალი, რომ დაინიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც გარკვეულწილად იმ დამახინჯებულ სტრუქტურას, რომელიც აქვს უნივერსიტეტს, გამოასწორებს, მოამზადებს ახალ ლეგიტიმურ ორგანოებს, რომ მართლა ლეგიტიმურად იქნეს არჩეული ახალი რექტორი. უნდა დაკონკრეტებულიყო, რა ვადით შეიძლებოდა დანიშნულიყო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. როგორც ირკვევა, ეს ვადა შეიძლება ექვსი თვით განისაზღვროს. ნაციონალები ყვირიან, როგორ შეიძლება, რექტორი დაინიშნოსო. სინამდვილეში, ინიშნება რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, თუმცა ღია რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეს ჩანაწერი რამდენად შეეხება. კვიტაშვილმა უკვე განცხადება გააკეთა და გადადგა. შედეგად, რექტორის არჩევნები უკვე ოფიციალურად გამოცხადდა. 16 აგვისტოს არის დანიშნული არჩევნების ჩატარება. წარმოიდგინეთ, პარლამენტში როგორი დაჩქარებული წესითაც არ უნდა მიიღონ კანონი, კვიტაშვილის გადაყენება უკვე არააქტუალურია. ეს კანონპროექტი კანონი რომ გახდეს, სააკაშვილს ხომ უნდა გადაუგზავნონ ხელმოსაწერად. სააკაშვილი მაქსიმალურად გაწელავს დროს და ვეტოს დაადებს. ვეტო შემდეგ პარლამენტმა უნდა დაძლიოს. მოესწრება ეს არდადეგების დაწყებამდე?! უმრავლესობა რიგგარეშე სესიას მოითხოვს. მისცემს სააკაშვილი ამაზე თანხმობას? ამასობაში მოქმედი კანონის მიხედვით უნივერსიტეტში ტარდება არჩევნები. 16 აგვისტოს არჩეული იქნება უნივერსიტეტის რექტორად ადამიანი, რომელსაც აუცილებლად ექნება აკადემიური ხარისხი. მე ნამდვილად ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება, ეს პრობლემა დაძლიოს „ქართულმა ოცნებამ“.

***— კანონის ასე დაჩქარებული წესით მიღება აუცილებელია?***

— ჩემი აზრით, დაგვიანებულიცაა. ყველაზე კარგი დრო ამ კანონპროექტის პარლამენტში შეტანისა იყო აპრილი, როდესაც კონსტიტუციური პრობლემები დაძლეულ იქნა მარტში. როცა გაირკვა, რომ სააკაშვილი ვეღარ დაითხოვდა პარლამენტს, აპრილში იყო ყველაზე ლოგიკური ამ კანონპროექტის შეტანა. როგორც არ უნდა გაწელილიყო მისი მიღება, პროცესი იქნებოდა უფრო კონტროლირებადი. ახლა რა და როგორ იქნება, ცოტა რთული საკითხია. არის კიდევ ერთი პრობლემა: თვით უმრავლესობაშიც არ არის ერთნაირი დამოკიდებულება ამ კანონპროექტისადმი. რესპუბლიკელებს განსხვავებული პოზიცია აქვთ. მე ეს არ მიკვირს. გულდასაწყვეტია, რომ სწორედ რესპუბლიკელების გამო შეიძლება ხელი შეეშალოს ამ კანონის მიღებას. მე ეს არ მინდა, რადგან რესპუბლიკურ პარტიაში არიან პიროვნებები, რომლებიც ჩემში დიდ სიმპათიას იწვევს. პირველ რიგში, ეს არის დავით უსუფაშვილი. მისი გონიერების ყოველთვის მჯეროდა. არ მინდა, რომ სწორედ რესპუბლიკელები აღმოჩნდნენ ის ძალა, რომლის გამოც შეიძლება ვერ გამოსწორდეს უნივერსიტეტებში დღეს არსებული ვითარება.

***— ახალი კანონი უნივერსიტეტების ავტონომიას რეალურად დააკანონებს?***

— ავტონომიის დაკანონება კანონით პირობითი ცნებაა. უნივერსიტეტი კანონით ახლაც ავტონომიურია. რეალური ავტონომია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. იმ პოლიტიკურ ნებაზე, რომ არ ჩაერიოს უნივერსიტეტის შიგა საქმეებში. თორემ გაიხსენეთ, ხუბუა როგორ გაუშვეს და ვინ გაუშვა. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ, განცხადება დაწერე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგიჭერენო. დაწერა. მერე უცებ აკადემიურმა საბჭომ აირჩია სურგულაძე. დაახლოებით ორი კვირა იყო ის რექტორი და დაწერა განცხადება გადადგომაზე და იმ საბჭომ წარმატებით აირჩია ბატონი კვიტაშვილი, რომელიც დილას ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრი იყო. რა დამსახურებით აირჩია კვიტაშვილი — ცნობილი პროფესორი იყო, მეცნიერი თუ რა?! გასაგებია, რომ ეს, ჩვენდა სამწუხაროდ, მართვადი პროცესი იყო. ავტონომიურობა ორ რამეზეა დამოკიდებული. პირველი — ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ნება, რომ უნივერსიტეტის საქმეში არ ჩაერიოს; დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, რამდენად არის ის პიროვნულად დამოუკიდებელი და ავტორიტეტული საზოგადოებაშიც და საზღვარგარეთაც. თორემ კანონში, რაც გაგიხარდება, ჩაწერე, თუ ის არ სრულდება.

***— რამდენად მტკივნეულ პროცესს უნდა ველოდეთ უნივერსიტეტში რექტორის არჩევნების შემდგომ? ფაქტია, დღეს უნივერსიტეტში ის ხალხი მუშაობს, ვინც ნაციონალებისთვის იყო მისაღები.***

— მათ შორის ბევრი ღირსეული ადამიანია. ნაციონალები ცდილობდნენ, დეკანები ეკონტროლებინათ. მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი გამონაკლისი იყო, როცა დეკანის მოვალეობას ასრულებდა ქალბატონი ელენე ხარაბაძე, თორემ დანარჩენები, პრაქტიკულად — ყველა შემთხვევითი პიროვნება იყო. დღესაც ეკონომიკის ფაკულტეტს ისეთი დეკანი ჰყავს, რომ ასეთი ეკონომისტი მე არ გამიგია. ის ჯერ დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, მერე ფაკულტეტი აიძულეს, რომ დეკანად აერჩიათ. გაიხსენეთ, სტუდენტი ბარნოვი როგორ გახდა დეკანი. ის, რა, ფაკულტეტმა აირჩია?! ფაკულტეტმა ვინც აირჩია, ბატონი ჯორბენაძე, ის არ დაამტკიცა დეკანად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ.

***— ბატონო ლადო, დღემდე ორი კანდიდატი დასახელდა, რომლებიც უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას — თქვენ და მარინე მუსხელიშვილი. შეგიძლიათ გვითხრათ, რა შანსები გაქვთ ამ ეტაპისთვის?***

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ ქალბატონ მარინე მუსხელიშვილს პირადად ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ. ჩემთან უკვე კარგა ხანია, ყოველ შემთხვევაში, რაც საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, მას შემდეგ, მიდის კონსულტაციები უნივერსიტეტის პროფესორების მხრიდან, მათ შორის იმათი მხრიდანაც, ვინც დღეს უნივერსიტეტში უკვე აღარ არიან. კონსულტაციები მიდის სტუდენტებთანაც. ეს გასაგებია, იმიტომ რომ „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო პროგრამაში ეწერა, უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მქონე. როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ყველა ელოდებოდა, რომ კოალიცია მოიცლიდა ამ დაპირების შესრულებისთვის. ამიტომ ეს კონსულტაციები იმართებოდა. მე ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავდი და ახლაც ვიმეორებ: მართალია, თითოეულ კანდიდატს აქვს უფლება, თვითონ წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ მე, პირადად, ამას არ ვიზამ, თუ არ მეყოლება მხარდამჭერთა გუნდი, რომელიც ოფიციალურად დააფიქსირებს, რომ მათ უნდათ, ლადო პაპავამ მიიღოს მონაწილეობა კონკურსში. რაც შეეხება იმას, თუ რა შანსები მაქვს, მე სპორტსმენი არ ვარ და უნივერსიტეტის არჩევნები ოლიმპიადა არ არის, რომ მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობა იყოს მთავარი. თუ ვერ გავიმარჯვე, არც აქედან შევქმნი ტრაგედიას. სამსახურიც მაქვს და ქართველი საზოგადოების გარკვეული მხარდაჭერაც. ვთვლი, იმისათვის, რომ რექტორმა სერიოზული რეფორმა ჩაატაროს, მას ლეგიტიმაცია სჭირდება. ხაზს ვუსვამ, რომ, რექტორობის შემთხვევაში, თუ დავინახავ, რომ უნივერსიტეტის ავტონომია ილახება, მე პრობლემა არა მექნება, რომ პროტესტის ნიშნად გადავდგე.

***— დაბოლოს, ფაქტია, რესპუბლიკელებს განათლების კანონთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ გუნდის შიგნითაც იქნება წინააღმდეგობა თქვენს კანდიდატურასთან?***

— მე პიროვნულად ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, თუმცა ამას ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც რექტორად მე პოლიტიკურმა გუნდმა კი არ უნდა დამნიშნოს, არამედ თავად უნივერსიტეტმა უნდა ამირჩიოს. მთავარია, მე მისაღები ვიყო უნივერსიტეტისთვის და არა მთავრობისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებ უნივერსიტეტისათვის ავტონომიურობის მიღწევასა და გაძლიერებას.

## ილია II აჭარაში 1200 ადამიანის ნათლობას დაესწრება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დღეს ზემო აჭარაში მიემგზავრება. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე ბრძანა.

მისი თქმით, მაღალმთიან აჭარასა და ბათუმში 1200 ადამიანი მოინათლება.

მედიანიუსი



## ილია II: „წიგნი უნდა იყოს პირველი მეგობარი ადამიანისა“

უწმინდესმა გუშინ სამების საკათედრო ტაძარში წიგნის მნიშვნელობასა და მისი კითხვის აუცილებლობაზე იქადაგა.

როგორც წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპიკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა, წიგნი უნდა იყოს პირველი მეგობარი ადამიანისა. ადამიანმა ათი უმაღლესი სასწავლებელი რომ დაამთავროს და წიგნის კითხვა არ იცოდეს ან არ უყვარდეს, ის უმაღლესი სასწავლებლიდან კარგს ვერაფერს ისწავლის.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ როდესაც მან შაბათი კითხვის დღედ დააწესა, ზოგმა ისე გაიგო, თითქოს წიგნები მხოლოდ შაბათს უნდა წაიკითხონ.

„ჩვენ არა მარტო შაბათს, არამედ ყოველ დღე უნდა ვიკითხოთ, როცა თავისუფალი დრო გვექნება და იქიდან უნდა ამოვიწეროთ ბრძნული გამონათქვამები. ტელევიზიამ და ინტერნეტმა ძალიან გაიტაცა ახალგაზრდობა. მართალია, ბევრი ვიცით, მაგრამ სიღრმისეულად არ ვიცით, საკითხები“, — ბრძანა უწმინდესმა და საზოგადოება იმ პეპელას შეადარა, რომელიც ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადის.

მისივე თქმით, საზოგადოებას აკლია კულტურა წერა-კითხვისა და ხშირია შემთხვევები, როცა უმაღლეს ამთავრებენ და არ იციან, სად უნდა დაისვას წერტილი და მძიმე და როგორ უნდა გამოიყენონ ციტირება.

„შეიძლება ბევრს გაუჩნდეს კითხვა, რომელი წიგნებიდან დავიწყოთ კითხვა. უპირველეს ყოვლისა, ბიბლია. იქ არის დიდი სიღრმე, სიბრძნე, სულიერება და ცხოვრებისეული წესები“, — ბრძანა ილია მეორემ და აღნიშნა, რომ ადამიანმა დღეში ბიბლიიდან ერთი თავი მაინც უნდა წაიკითხოს.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა მრევლი დალოცა და დეკანოზი დავით გოცირიძე დამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. გუშინვე დალოცა 7 გვარი და თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბი, ასევე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი.

მედიანიუსი

## იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად ლევან მურუსიძე აირჩიეს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად ლევან მურუსიძე აირჩიეს. მურუსიძემ კონფერენციაზე დამსწრე 224 წევრიდან 205-ის მხარდაჭრა მოიპოვა. 17 ბიულეტენი კი ხმის დამთვლელმა კომისიამ ბათილად ცნო.

კენჭისყრის დაწყების წინ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნობის ოთხმა კანდიდატმა, მოსამართლეებმა ილონა თოდუამ, პაატა სილაგაძემ, გიორგი შავლიაშვილმა და თამარ ალანიამ საკუთარი კანდიდატურები მურუსიძის სასარგებლოდ მოხსნეს.

შესაბამისად, ლევან მურუსიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოსტზე ერთადერთი კანდიდატი იყო.

იუსიტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მოსამართლეთა კონფერენცია ოთხი წლის ვადით ირჩევს.

მედიანიუსი

# სანდრო თვალჭრელიძე: „უნივერსიტეტის რექტორი გამბედავი ადამიანი უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ სანდრო თვალჭრელიძესთან



***— ბატონო სანდრო, რას იტყვით ქართული უნივერსიტეტების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე? როგორც ჩანს, ცხრაწლიანი პერიოდი სრულდება და ახალი პროცესი იწყება. რამდენად დადებითი იქნება ეს პროცესი უნივერსიტეტებისთვის?***

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა რექტორი არა მხოლოდ აკადემიური ხარისხის მატარებელი იყო, არამედ ცნობილი მეცნიერი გახლდათ. ცხადია, არ ვგულისხმობ ბოლშევიზმის წლებში დანიშნულ რექტორებს. მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, გიორგი ძოწენიძის შემდეგ კვიტაშვილის ნახვა უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ნამდვილად არ მომწონდა. ადამიანს, რომელსაც არც ერთი სამეცნიერო შრომა არ დაუწერია, არ იცის, რას ნიშნავს დიდი მეცნიერება, კაცი, რომელსაც არც ერთი ლექცია არ წაუკითხვას, არ შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდეს. ე.წ. რეფორმამ მოიტანა მსოფლიო რეიტინგში გაუგონრად დაბალი ადგილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრადიციულად სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის სტამბოლის უნივერსიტეტის ჩათვლით პირველი იყო. ახლა რეგიონში კი არა სადღაც ბოლოსკენ ვართ. ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ვართ, ერევნისა და ბაქოს უნივერიტეტებს ჩამოუვარდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უამრავი წარჩინებული მეცნიერი გააგდეს. მხოლოდ მზექალა შანიძის დასახელება საკმარისი იქნებოდა. მე ვთვლი, რომ განათლების სისტემაში სასწრაფოდ არის რადიკალური რეფორმა გასატარებელი, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არაქმედითი სამეცნიერო საბჭო უნდა შეიცვალოს ნორმალური ადამიანებით. ის აკადემიური საბჭო, რომელიც ახლა არსებობს ქმედუუნაროა და ნორმალურ რექტორს ვერასდროს ვერ აირჩევს. თავდაცვის ინსტინქტი ამოქმედდება და ისეთივეს აირჩევენ, როგორიც აირჩიეს, ხუბუა, კვიტაშვილი. ვთვლი, რომ ახლა რაც კეთდება, ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ კეთდება.

***— წინა წლებში პრეზიდენტი ნიშნავდა, ახლა პრემიერი ჩაენაცვლაო, საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს ამასთან აქვთ პრობლემა. რას იტყვით?***

— რეალობაზე თვალს ნუ ხუჭავენ. ჩვენ აბსოლუტურად მოჯადოებულ წრეში ვართ. ერთი მხრივ, აკადემიურად თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, იმ ადამიანებს, რომლებიც ყურმოჭრილი მონები იყვნენ ცხრა წლის განმავლობაში, მათ არავითარი მორალური უფლება არ აქვთ, რომ ან მე ან ნებისმიერ სხვას განაჩენი გამოუტანონ, იყოს რექტორი თუ პროფესორი. პირველი რიგში, ეს საბჭო უნდა შეიცვალოს და შემდეგ დაინიშნოს თავისუფალი, დამოუკიდებელი არჩევნები.

***— მოგწონთ კონცეფცია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა?***

— სხვა არც შეიძლება არსებობდეს. სხვა მიდგომა არ არის. ეს არის ის მიდგომა, რომელიც ბევრმა უნივერსიტეტმა თავის დროზე გაიარა. ზუსტად ასე მოხდა გერმანიაში ჰიტლერის რეჟიმის შემდეგ, ასე მოხდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა რეჟიმის დანგრევის შემდეგ, ყველა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა ეს ეტაპი გაიარა. ჯერ იყო დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ ნორმალური ხალხი მოიყვანეს და ჩატარდა თავისუფალი არჩევნები. სხვა მეთოდიკა არ არსებობს. პრაღაში, მაგალითად, ჩარლზის უნივერსიტეტში, ერთ-ერთ უძველეს, შუა საუკუნეების დროინდელ უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი წელიწად-ნახევარი იყო. სწორედ ეს დრო დასჭირდა ჩარლზის უნივერსიტეტს, რომ აკადემიური საბჭო ჩამოეყალიბებინათ და მერე ჩაეტარებინათ დამოუკიდებელი, თავისუფალი არჩევნები. ეს არის კარგი მაგალითი იმისთვის, რომ რეფორმა დაუყოვნებლივ დაიწყოს. ვერავინ ვერაფერს იტყვის, რომ ვაცლავ ჰაველი დემოკრატი არ იყო, მაგრამ სწორედ მან დანიშნა ჩარლზის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. თუმცა, ჩეხეთშიც იყო ასეთი ტიპის კრიტიკა, რომელიც ახლა ჩვენ გვესმის. ამის გამო აკრიტიკებდნენ ვაცლავ ჰაველს და მასაც მოუხდა ამ კრიტიკასთან ბრძოლა. მე ვიტყოდი, ეს არის არა კრიტიკა, არამედ ფარისევლობა.

***— რეალური ავტონომიის მოსაპოვებლად ამ გზის გავლა აუცილებელია, თქვენ ამბობთ?***

— დიახ. სხვანაირად შეუძლებელია, რეალური დამოუკიდებლობის სურვილი მხოლოდ შინაგანად თავისუფალ ადამინებს აქვთ. მონებმა თავისუფლების მოსაპოვებლად ძალიან დიდი პროცესი უნდა გაიარონ. როგორც გორკი ამბობდა, ყოველდღე, წვეთ-წვეთ ადამიანი თავისი ორგანიზმიდან მონას უნდა დევნიდეს. დამოუკიდებელი, მხოლოდ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი შეიძლება იყოს.

***— პრეზიდენტი სააკაშვილი საუბრობდა, მაგალითად, კრასნოიარსკში ოთხი თუ ხუთი ბოთლი კონიაკით მიღებულ პროფესორობაზე...***

— მე არ ვუსმენ სააკაშვილს და მის გამონათქვამებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ვიმეორებ, საერთოდ არ ვუსმენ. როგორც კი ტელევიზორში ჩნდება ჩვენი პრეზიდენტი, მე ტელევიზორს ვრთავ. მიხეილ სააკაშვილმა საერთოდ არ იცის საგანმანათლებლო პროცესი. პროფესორის წოდება და სამეცნიერო ხარისხი სხვადასხვა რამ არის. არსებობს პროფესიები, როდესაც პროფესორის წოდება შეიძლება მიანიჭო ადამიანს, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო ხარისხი, მაგალითად, რეჟისორს, მხატვარს. სამხატვრო აკადემიაში ან კონსერვატორიაში ვის აქვს ნაშრომები? შემსრულებლებს? მაგალითად, იურისტის პროფესიის შემთხვევაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესორის წოდებას ანიჭებს „იურისტთა ასოციაცია“. ამდენად, სხვადასხვა მეთოდები არსებობს პროფესორის ხარისხის მინიჭების, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორი და დეკანი არ შეიძლება აკადემიური ხარისხის გარეშე იყოს.

***— კანდიდატების შესახებ რას იტყვით, უკვე სახელდებიან...***

— ვფიქრობ, დასახელებული კანდიდატებიდან არც ერთი არ იქნება. შეირჩევა ადამიანი, რომელსაც რეალურად შეუძლია გაატაროს რეფორმა.

***— როგორი უნდა იყოს რექტორი?***

— ძალიან გამბედავი, თავდაუზოგავი, რადგან მას ძალიან დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს, ბევრი სიბინძურის მოსმენაც. მან უნდა იცოდეს და დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რა უნდა გააკეთოს.

# რუსმა ოკუპანტებმა ორსანტიას მკვიდრი დააკავეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში რუსმა ოკუპანტებმა დღეს ადგილობრივი მცხოვრები იუზი ყურუა დააკავეს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიის რწმუნებულ ბესიკ მორგოშიას თქმით, ყურუა გუშინ აფხაზეთის ე.წ საზღვართან შეშის შესაგროვებლად მეგობართან ერთად იყო წასული.

„მეგობარი რუს ოკუპანტებს გამოექცა და სწორედ მისი ინფორმაციით, ისინი ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, თუმცა აფხაზეთის ე.წ საზღვართან ახლოს. რუსმა მესაზღვრეებმა კი ისინი საზღვრის გადაკვეთაში დაადანაშაულეს და იუზი ყურუა დააკავეს, ხოლო მისმა მეგობარმა შეძლო გამოქცევა,“ — განაცხადა ბესიკ მორგოშიამ.

ოჯახის წევრების თქმით, მათ ამ დრომდე არავინ დაკავშირებია. დაკავებული, სავარაუდოდ, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევშია გადაყვანილი.

მათივე ინფორმაციით, ამ საკითხზე პასუხისმგებელი ყველა ორგანო ამ დროისთვის ინფორმირებულია.

,,მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში ყურუას დაკავების შესახებ ინფორმაცია დაუდასტურეს, თუმცა ამ ეტაპზე დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროებისაგან თავი შეიკავეს.

მედიანიუსი

# ზესტაფონის აგრარული ბაზრის დაფარული სიმდიდრე

როლანდ ხოჯანაშვილი

**საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტის ცენტრები ორი დანიშნულებით „ფეთქავს“ — ადმინისტრირებისა და სავაჭრო დანიშნულების გარდა პატარა ქალაქებმა სხვა ფუნქციები თითქმის დაკარგეს.**

ვერც ზესტაფონი გადაურჩა სოციალისტური ფორმაციის მსხვრევის შემდეგ ფუნქციონალურ დეფიციტს და ერთ დროს მსოფლიოში ცნობილი სატრანსპორტო კვანძი, რომელსაც ფეროშენადნობის წარმოებაში ბადალი არ ჰყავდა, უცებ აღმოჩნდა ეკონომიკურ ფიასკოში. ტვირთბრუნვით გამორჩეულ ქალაქს კომუნისტურ ეპოქაში უფრო იმით იცნობდნენ, რომ მსოფლიო ფეროშენადნობის 25%-ს ზესტაფონი აწარმოებდა.

მეტალურგთა შემცირების პარალელურად ქალაქში მოვაჭრეთა და გარემოვაჭრეთა რაოდენობამ იმატა. ძირითადად მსუბუქ მრეწველობაში დასაქმებული ქალბატონები აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში, ზესტაფონში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მრეწველობის დარგების განადგურებამ მათი გამოთავისუფლება გამოიწვია, ამიტომ ზესტაფონელი ქალბატონების ძალიან დიდი ნაწილი საბერძნეთსა და იტალიაში გადაიხვეწა, ნაწილმა კი ,,ბიზნესვუმენების“ მანტია მოისხეს და აგრარულ ბაზარსა და ,,შავ ბაზარს“ შეეკედლნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ზესტაფონმა ზემოიმერეთის დედაქალაქობის ფუნქციაც იტვირთა. ზესტაფონიდან წასული შეჭირვებული მოსახლეობა შედარებით იაფად ჰყიდდა სიმწრით აშენებულ სახლებს და თავს ან დიდ ქალაქებს აფარებდნენ, ან კიდევ– საზღვარგარეთ მიდიოდნენ. სწორედ ამ დროს დრო იხელთეს ზემოიმერეთის მწირ სოფლებში მცხოვრებმა ადამიანებმა და 1000 დოლარის ფარგლებში ყიდულობდნენ საცხოვრებელ სახლებს. სწორედ ასე შეიქმნა ზესტაფონში წვრილმოვაჭრეთა ფენა, რომელიც იძულებული იყო, წასულიყო რისკზე და ხელი მოეკიდა სახიფათო საქმიანობისათვის—გადამყიდველობისათვის.

მახსოვს, რომ ზესტაფონში დილით, სოფლიდან ჩამოსულ ავტობუსებთან გადამყიდველების არმია იდგა და ფეხის ასფალტზე ჩამოდგომას არ აცდიდნენ გლეხებს. ქათმის, ყველის, მჭადის ფქვილის თუ ნებისმიერი აგროსაქონლის მყიდველები სასწრაფოდ ცდილობდნენ, რომ გლეხები ეცდუნებინათ და თუნდაც რამდენიმე თეთრით იაფად ეყიდათ ,,პირველი ხელიდან“ სურსათი. ამას ემატებოდა ,,სასწორით თამაშის“ და ანგარიშში მოტყუების სარგებელი, თუმცა ბაზრის მისადგომებთან ხშირად იყო კოკისგან წყლის ყოველთვის ვერ მოტანა სახეზე და გადამყიდველების გალანძღვა ტყუილების გამო. ე.წ. ,,ქათმებისა“ და ,,ყველის“ ბაზრობა შუა გზამდე იყო ყოველთვის გამოსული, ფეხით ამ ტერიტორიაზე გავლა ნიშნავდა იმას, რომ მინიმუმ ყველის წვენის სურნელს გაიყოლებდით ან ქათმის ბუმბულით დაიმშვენებდით სამოსს. რახან ბაზარი გადმოწეული იყო ქუჩისკენ, სამაგიეროდ ბაზრის უკანა მხარესა და მდინარე ყვირილას შორის გახლდათ ღია ცის ქვეშ ტუალეტი, სადაც გავლას მხოლოდ მოჭარბებული დეფეკალიზაციის სურვილი თუ გაიძულებდათ.

თავად ბაზრის ტერიტორიაზე ანტისანიტარიის დადგენას სულაც არ სჭირდებოდა გამოცდილი სანიტარის დასკვნა: სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, აგროსაქონლით სავაჭრო ობიექტს ( ბიზნეს-ოპერატორს) საწარმოო პროცესი 15-მდე კრიტიკული შეუსაბამობის გამო შეუჩერდა, ასევე ფულადი ჯარიმა, 1000 ლარი დაეკისრა. ,,შენიშვნების გამოსწორების შემდეგ ხელახალი ინსპექტირების შემდეგ, შესაძლებელია ისევ მიეცეს მუშაობის უფლება“,–იყო სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავდაპირველი პირველი გამაფრთხილებელი ჯარიმა განაპირობა იმან, რომ ,, ბაზრის გარე ტერიტორია გადაქცეულია ნაგავსაყრელად; შენობა არ არის დაცული დამაბინძურებლების – მაწანწალა ცხოველების, ჩიტების, მწერებისა და მღრღნელების შეღწევისგან; არ ტარდება სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოები; სურსათი არ არის დაცული მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებისაგან, პარაზიტების გამრავლებისა და ტოქსინების წარმოქმნისაგან; დასალაგებელი ინვენტარი, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები საწარმოო ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობს.“



მაისში დახურული ბაზრის თემა იმდენად პოპულარული იყო ზესტაფონში, რომ ზოგჯერ ფეროშენადნობთა ქარხნის პრობლემატიკას ფარავდა. თუმცა , მოვაჭრეები ამბობენ, რომ ადმინისტრაციამ შეგნებულად დაყარა ნაგავი, რათა მაკონტროლებელს შესაბამისი დასკვნა გაეკეთებინა. მოვაჭრეების განცხადებით, ისინი, ჩვეულებრისამებრ, ყოველთვიურად იხდიდნენ დასუფთავების გადასახადს. მათ გასულ კვირას, პარლამენტთანაც გააპროტესტეს ბაზრის დახურვა და პარლამენტარებს კარები გადაუკეტეს. ბაზრის ადმინისტრაციის ჟურნალისტიდან მხარდაჭერად თუ არ ჩამეთვლება ეს ნათქვამი, კარგი იქნება: არაერთხელ ვყოფილვარ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე და ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ მიმდებარე ტერიტორია ყოველთვის იყო ანტისანიტარიის კერა და გამიკვირდა, რომ მხოლოდ 15 ნიშნით რომ გამოცხადდა ბაზრის შეუსაბამისობა. მოვაჭრეებს კი ახდევინებდნენ დასუფთავების მოსაკრებელს, მაგრამ ბაზრის მიდამო რომ დაუსუფთავებელი იყო პერმანენტულად, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. ანუ თევზი ისევ სათავიდან აყროლდა–ბაზრის ადმინისტრაციას უნდა ეზრუნა სანიტარიაზე.

მუნიციპალურ ხელისუფლებას თითქმის არასდროს ეცალა ბაზრის საკითხისთვის, თუნდაც ჰქონოდა ამის სურვილი, კერძო ბიზნესში ეგრე ადვილად ,,ცხვირის ჩაყოფის“ უფლებას არავის მისცემდნენ. ,,საოცნებო“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იყო მცდელობა, რომ მოწესრიგებულიყო ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვა, ეს კიდეც მოწესრიგდა ნაწილობრივად, რადგან პარკინგის ტერიტორია მუნიციპალურ ქონებას წარმოადგენდა. შედარებით ამან განტვირთა მოძრაობა და ვაჭრობის ფორმაც უფრო ცივილიზებული გახადა.

საქართველოში არ მახსენდება საკითხი, რომლის პოლიტიზება არ მომხდარიყო. ზესტაფონის ბაზრის საკითხის პოლიტიზების შესაქმნელად ,,თავი ბოროტებისა–,,ნაცმოძრაობა“ იქნა თითმიშვერილი. ზესტაფონის ბაზრის დემონტაჟი, რომელიც ხმაურით მიმდინარეობდა, პოლიტიკურ სარჩულს ვერ ასცილდა იმით, რომ მას დაუკავშირეს სამადაშვილების სახელები. ზესტაფონის ბაზრის მოვაჭრეები კუთვნილი სავაჭრო ფართების ჩამორთმევას აპროტესტებენ. ისინი ღიად ადანაშაულებენ „ნაციონალურ მოძრაობას“ ბაზრის მეპატრონეების ზაალ სამადაშვილის ძმის, მერაბ სამადაშვილისა და ამირან კაკაურიძის ლობირებაში. მოვაჭრეები აცხადებენ, რომ მეპატრონეებს ე.წ „შავი ოქროს“ ამოღება უნდათ მიმდებარე ტერიტორიიდან, რადგან ბაზრის ტერიტორია მდებარეობს წიდის საფარზე. წიდის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს მეტალს, რომელსაც საკმაოდ კარგი ფასი ადევს. წიდის ამოღება, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის ზესტაფონს, ეკოლოგიური თვალსაზრისით( ვითომც აკლდეს!) , ამიტომაც უწოდებენ ზესტაფონში ამ ადგილს „ასამოქმედებელ ბომბს.“ სამადაშვილების კუთვნილების დასადასტურებლად ზესტაფონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ეკა დუგლაძის, განცხადებაც კმარა: „ბაზრის ტერიტორია 10 წელია სამადაშვილების კუთვნილებაა, აქ ყველაფერი კერძო ბიზნესის ინტერესებს ემსახურება.მათ თავის დროზე იმიტომ ჩაყარეს მილიონი ლიცენზიისთვის, რომ „შავი ოქრო“ მოეპოვებინათ. ჩვენი მცდელობა, გვერდით დავდგომოდით მოვაჭრეებს, უშედეგოა, რადგან ტერიტორია მფლობელს კანონიერად აქვს.“

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ქამუშაძემ ,,ახალ თაობასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ კერძო ბიზნესთან გამგეობას არანაირი ბერკეტი არ აქვს საბრძოლველად მიუხედავად იმისა, რომ მოვაჭრეთა მოთხოვნას სოლიდარობას უცხადებს (გამგეობამ სასამართლოსაც მიმართა მოვაჭრეთა უფლებათა დასაცავად).

გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად მუნიციპალიტეტმა ერთგვარი შეღავათი მოვაჭრეებს შესთავაზა: ახალი აგრარული ბაზარი, რომელიც მოვაჭრეებს არ მოსწონთ. თუმცა, ისინი აცხადებენ, რომ ტერიტორია სამუშაოდ უვარგისია და მემცენარეობის სათბურს უფრო ჰგავს, სადაც მუშაობა წარმოუდგენელია გაუსაძლისი სიცხისა და აუტანელი სუნის გამო.

მოკლედ, ძველი ბაზრის ტერიტორია სინამდვილეში მეტალური სიმდიდრის საბადოა. სავარაუდოდ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურს უამრავი ჯარიმის გამოწერა მოუწევს სამადაშვილისათვის, მაგრამ ჯარიმის ოდენობა შესაძლოა ზღვაში წვეთი იყოს იმ სიმდიდრესთან, რასაც, ფაქტობრივად, წიდა რეალურად წარმოადგენს.

# მამუკა გიორგაძე: „საქართველოს, შესაძლოა, ახალი 25 თებერვალი გაუთენდეს“

შორენა კოწოწაშვილი

„სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე იმ არასახარბიელო ტენდენციაზე საუბრობს, რომელიც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ამ ეტაპზე ახლავს და რომელიც შეიძლება სამომავლოდ იმ კონდიციამდე მივიდეს, რომ ქართველმა ხალხმა დასავლეთს „რუსული ჩექმის“ ქვეშ ყოფნა ამჯობინოს.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ გამიზნულად ხდება დასავლეთის ყოველგვარი სიბინძურის და ელჯიბიდი პირების დამცველად წარმოჩენა. ხოლო რუსეთთან მიმართებაში დუმილი და რევერანსები ივანიშვილის მთავრობის საგარეო კურსს კითხვის ნიშნებს მატებს.

მამუკა გიორგაძე ეჭვობს, რომ ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“ ბავშვურ კინკლაობაშია ნაცმოძრაობასთან და მხოლოდ განცხადებების დონეზე აბუქებს თალიბანის სახელით გავრცელებულ ვიდეოს, რომელიც უკვე ორივე მხარემ აღიარა, რომ საქართველოში დაიდო.

აღსანიშნავია, რომ მამუკა გიორგაძემ და გია ჭანტურიას ოჯახმა მთავარ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეს და სამართლიანობის აღდგენის პროცესში გია ჭანტურიას მკვლელობის გამოძიება მოითხოვეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე ხდება. თუმცა ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, პროკურატურამ ახალ გარემოებად არ ჩათვალა უშიშროების ყოფილი მინისტრის, იგორ გიორგაძის მიერ პრესით გაკეთებული განცხადება, რომ გია ჭანტურიას მკვლელობის შესახებ მან იცოდა.

– ძალიან საინტერესოა თვითონ ტერმინი ახალი გარემოება, რომელიც ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სრულიად უაზროდ და უსაგნოდ პროკურატურის მხრიდან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გამოძიება, რომელიც ჩატარდა, თავის დროზე მიჩნეულია ლეგიტიმურად?! მიჩნეულია, რომ ნორმალურად წარიმართა და ყველა შეკითხვას პასუხი გაეცა? თუ ყველა კითხვას პასუხი გაეცა, მაშინ ჩვენ გვაინტერესებს, რა იყო მკვლელობის მიზანი. შესაბამისად, რატომ არ იყვნენ დაკითხული ის ადამიანები, რომლებსაც შეიძლება უშუალო შეხება ჰქონოდათ ამ საქმესთან, მათ შორის სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. როდესაც მაშინდელი უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე აცხადებს, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია თავდასხმის შესახებ და ეს ინფორმაცია მიაწოდა გია ჭანტურიას, ეს არ არის საინტერესო ფაქტი გამოძიებისათვის? მე, როგორც პარტიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, საერთოდ არ ვყოფილვარ დაკითხული. არ იყო საინტერესო დაზარალებული მხარის პოზიცია და ის ვერსიები, რომლებიც შეიძლებოდა მაშინ გამოთქმულიყო? უბრალოდ, დღეს ხდება ჩემთვის გაუგებარი, მაგრამ როგორც ჩანს, დღევანდელი პროკურატურისთვის მისაღები შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია. როგორც ჩანს, დღევანდელ პროკურატურას აქვს სურვილი, თავი აირიდოს იმ უხერხულობისაგან, რომელიც შეიძლება შეექმნას მას, ან შევარდნაძესთან და შევარდნაძის რეჟიმის წარმომადგენლებთან, ან კიდევ რუსეთის სპეცსამსახურებთან. იმიტომ, რომ ეს ორი სუბიექტი იყო ყოველთვის გამოკვეთილი ამ საქმეში. ხოლო გამოძიება ამ მიმართულებით არ წასულა. აქედან გამომდინარე, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ დღევანდელი პროკურატურა მაინც შეძლებდა სიმართლის დადგენას, იმიტომ, რომ თუ ჩვენ მაინც არ დავადგინეთ, რა იყო მკვლელობის მოტივი და მიზანი, რომელმაც შეცვალა საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია, ჩვენ ვერ დავადგენთ, რა უნდა მტერს საქართველოსაგან. აქედან გამომდინარე, ხვალ და ზეგ ძალიან მნიშვნელოვან შეცდომებს დავუშვებთ. ეს არის ჩვენი მიზანი, შესაბამისად, პროკურატურის დღევანდელი ქმედება ჩვენთვის გაუგებარია. ბუნებრივია, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას იმისათვის, რომ დადგინდეს სიმართლე, როცა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი შენაკადი ასეთი ფორმებით იქნა შეჩერებული, – განაცხადა მამუკა გიორგაძემ. მისი თქმით, იგორ გიორგაძე ჭანტურიას მკვლელობის საქმის გამოძიებაში არ მონაწილეობდა. პირიქით, მას შევარდნაძემ მკვლელობიდან ორ კვირაში რიგგარეშე სამხედრო ჩინი მიანიჭა.

„ის ფაქტი, რომ ამხელა ტერაქტი მოხდა და ორ კვირაში უშიშროების მინისტრი იქნა დაჯილდოებული, ნათლად მეტყველებს იმ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რასაც შევარდნაძე ანიჭებდა ამ კუთხით ჩვენი და იგორ გიორგაძის დაპირისპირების გამოყენებას“, – აღნიშნა მამუკა გიორგაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ქართული კანონმდებლობის თანახმად, პროკურატურას უფლება აქვს, პრესით გაკეთებულ განცხადებაზე საქმე აღძრას. გიორგაძე კი აცხადებს, რომ მან იცოდა ჭანტურიაზე თავდასხმის შესახებ და მზად არის, ეს ინფორმაცია გამოძიებას მიაწოდოს. მამუკა გიორგაძის თქმით, მნიშვნელოვანია, გამოძიებამ ეს ინფორმაცია მიიღოს და საქმე აღძრას.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სახალხო პარტია გააგრძელებს პოლიტიკურ ქმედებებს და იმის გამორკვევას, რატომ აფარებს პროკურატურა ხელს რუსეთის სპეცსამსახურებს. ეს თემა, მამუკა გიორგაძის თქმით, პოლიტიკურ საკითხში გადავიდა და სახალხო პარტიაც პოლიტიკურ ზომებს მიიღებს, რათა ხელისუფლებამ აჩვენოს თავისი თავი. ჭანტურიას თანამებრძოლის თქმით, თუ ახალ ხელისუფლებას უნდა ქართული საქმე აკეთოს, სწორედ ასეთი საქმეების გამოძიებით უნდა გამოიჩინოს თავი.

მამუკა გიორგაძე უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ეროვნული მოძრაობის არც ერთი ლიდერის ლიკვიდაციის, მკვლელობის საქმე არ არის გამოძიებული სათანადოდ. სასამართლოც კი არ გამართულა ბევრ მათგანზე. სახალხო პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ გამოძიება გამოააშკარავებს, ხომ არ იყო შემდგომი პოლიტიკური პროცესების ამგვარად განვითარებისთვის მათი ლიკვიდაცია საჭირო.



– ხელისუფლებამ უპირველეს ყოვლისა უნდა დაამტკიცოს, რომ ისინი არ არიან მოსარგებლე იმ ტრაგედიებისა, რაც საქართველოში დატრიალდა, – აღნიშნა მამუკა გიორგაძემ.

***– ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით აისაფის მისიასთან დაკავშირებით ბოლოს გამოკვეთილ პოზიციებს და რას იტყვით თალიბანის სახელით გავრცელებულ ვიდეოებზე?***

– სამწუხაროდ, ჩვენ მივეჩვიეთ მოვლენების ზედაპირულ ანალიზს, მივეჩვიეთ ნიუსურ დაპირისპირებას და არ ვმსჯელობთ სიღრმისეულად პროცესებზე. ავღანეთში ქართული ჯარის მონაწილეობა – ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმ პროცესისა, რასაც საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ჰქვია. ეს არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი – ამას მინდა ხაზი გავუსვა. როდესაც ჩვენი ბიჭები იქ იხოცებიან, რა თქმა უნდა, ეს არის ერთ-ერთი გზის რეალიზების დროს გაღებული მსხვერპლი. მაგრამ ამის გარდა ჩვენ კიდევ სხვა ქმედებები გვმართებს. მხოლოდ ავღანეთში მონაწილეობით ჩვენ ვერ გავხდებით დასავლეთის ნაწილი, ამის პარალელურად აუცილებელია საქართველოში რეალურად დავიწყოთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. საჯარო სივრცე უნდა იქნეს გახსნილი და საერთაშორისო სტანდარტებამდე მიყვანილი. ხელისუფლებაში უნდა იყოს კონკურენტუნარიანი ძალები წარმოდგენილი, რომ რეალური თვითმმართველობა და კანონის უზენაესობა დავამკვიდროთ და ა. შ. მათ შორის, რა თქმა უნდა, პრინციპული პოზიცია უნდა დავიკავოთ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. თუ ეს სხვა ქმედებები არ იქნება განხორციელებული, მარტო ავღანეთში ქართული ჯარის მონაწილეობა ჩვენ გზას არ გაგვიხსნის ნატოსკენ და დასავლურ სივრცეში ინტეგრაციისკენ. ამას საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად გვეუბნებიან. ერთი მხრივ, ჩვენ ვმონაწილეობთ სამშვიდობო ოპერაციებში ავღანეთში, მეორე მხრივ, რუსეთთან ასეთ დათმობებს აქვს ადგილი.

***– ამ დათმობებში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლება ვერ ბედავს, ოდნავ მაინც პროტესტი განაცხადოს საქართველოში საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით. თუ გვინდა, რომ ჩვენ ამ ბიჭების ავღანეთში ყოფნა გამოვიყენოთ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის, მაშინ ამ ბიჭების დაღვრილი სისხლი უნდა გამოვიყენოთ. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ფუჭად ნუ დაღვრით ჩვენი ბიჭების სისხლს. გამოვიყენოთ ეს სისხლის დაღვრა, რომ ევროინტეგრაციის საკითხი იქნეს გადაწყვეტილი.

***– უშიშროების საბჭოს სხდომებს და მასზე პრემიერის არმისვლას უმცირესობის მხრიდან ხმამაღალი განცხადებები მოჰყვა. რეალურად რა აჩვენა ამ საბჭომ?***

– უშიშროების საბჭოს მოწვევა მართლაც ბავშვურ კინკლაობაში გადავიდა. რა აჩვენა და რა გამოკვეთა უშიშროების საბჭომ – ერთადერთი რამ განახორციელა ამით ქართულმა სახელმწიფომ, შეატყობინა რუსეთს: თუ ცუდად მოქცევას გააგრძელებთ, მე ვეტყვი დასავლეთს და დასავლეთი გაგისწორდება შენ. საქართველოს ხელისუფლების ქმედება რა იყო? ! პრაქტიკულად არაფერი. თუ მხოლოდ დასავლეთზე ვართ მიბმული და დასავლეთი არის ერთადერთი ჩვენი დამცველი, მაშინ რა საჭიროა აბაშიძე-კარასინის შეხვედრები ცალკე ფორმატად? ისედაც შეგვიძლია ჩვენ ვეტოს ეგიდით განვახორციელოთ რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანა. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ საქართველოს ინტერესები დავიცვათ. რა შეეძლო გაეკეთებინა უშიშროების საბჭოს? შეგვეძლო დაგვეწესებინა მუდმივი მონიტორინგი საოკუპაციო ზოლზე. შესაძლოა აქ გამოყენებულ იქნეს სათვალთვალო კამერები, რომლებიც ყოველ გზაჯვარედინზეა თბილისში გამოყენებული. ამით ჩვენ ფაქტობრივი მასალით უზრუნველვყოფთ საქართველოს მოქალაქეებს, როდესაც ხდება მათი გატაცება. ელემენტარულად შესაძლებელია, საერთაშორისო თანამეგობრობას ვთხოვოთ და მუდმივი პატრულირება გავაკეთოთ ამ ტერიტორიაზე. მესამე – საოკუპაციო ზოლის ტერიტორიაზე მაქსიმალურად იყოს დაცული როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური უფლებები იქ მყოფი ადამიანების. მეოთხე, მკაცრად მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ ჩვენი დამოკიდებულება. როგორ გგონიათ, რუსეთის მიმართ ის რევერანსები, რომლებიც საქართველოს მხრიდან არის, არ შეასუსტებს ჩვენი დასავლელი მეგობრების მხარდაჭერას? ჩვენ თვითონ არაფერს ვაკეთებთ, ხელს არ ვანძრევთ და დასავლეთს ვთხოვთ, მან დაგვიცვას ჩვენ. ამავე დროს ჩვენ ჩვენი კორპორაციული თუ კლანური ინტერესების გამო იოლად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით. დასავლეთიც გვეტყვის: თუ გინდათ რუსეთთან, კი ბატონო, იყავით მასთან. ბოლო ტენდენციაც ასეთია: დასავლეთი აღქმულია ავღანეთში დაღვრილ ქართველი ბიჭების სისხლთან; ზეწოლაში საქართველოს მიმართ ეჯიბიტი პირების უფლებების დაცვაზე; როგორც ყველა უხამსობის შემომტანი საქართველოში. ალბათ, ატყობთ, რომ ბოლო პერიოდში საზოგადოებრივი აზრი იცვლება იქითკენ, რომ ისევ რუსის ჩექმის ქვეშ ყოფნა გვირჩევნია, ვიდრე ამ გარყვნილებაში ცხოვრება. აი, ეს შეგნებულად კეთდება ხელისუფლების მხრიდან, თუ შეუგნებლად, ეს ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. ამ ყველაფერს ანალიზი სჭირდება, რა პრობლემის წინაშე ვდგავართ ჩვენ.

***– რაზე მიანიშნებთ, რომ რუსეთის ინტერესი ხვალ შეიძლება უფრო მეტად გატარდეს ქართულ სახელმწიფოში?***

– იმაზე მივანიშნებ, რომ ხვალ შეიძლება კვლავ დადგეს 25 თებერვალი, ოღონდ ეს იქნება სხვა ფორმა სხვა ატრიბუტიკით. აშკარაა, რომ საკმაოდ საშიში ტენდენციაა ისევე, როგორც თურქეთთან მიმართებაში. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში პრაქტიკულად ქართული მხარე გამოიყურება ისე, რომ არანაირ კონტროლონისძიებებს არ ახორციელებს საქართველოს ინტერესების დასაცავად. ჩვენს ქვეყანაში ყველა თავის ინტერესებს იცავს, ერთადერთი საქართველოა, რომელიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. ამ სივრცეს ავსებს შიდასახელმწიფოებრივ ძალებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებით. ქმედებით კი პრაქტიკულად არაფერი ხორციელდება, არანაირი ნაბიჯი არ იდგმება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად.

## შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 1971 წელს დაბადებული, თბილისში მცხოვრები დავით ყ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ბინის ჩხრეკისას „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტი 7 საბრძოლო ვაზნით, „ბლოუ მინის“ მოდელის პისტოლეტი და ქარხნული წესით დამზადებული „აკარ სილაჰ სანის“ მოდელის გლუვლულიანი სანადირო თოფი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პირველი

## ჩახალიანი 22 მლნ ლარს ითხოვს

საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ჯავახეთის“ თავმჯდომარე ვააგნ ჩახალიანი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს სასამართლოში უჩივის და 22 მლნ ლარს მოითხოვს. ჩახალიანმა პრეზიდენტ სააკაშვილის, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის, დეპუტატების – დავით ბაქრაძისა და გოგა ხაჩიძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა. იგი მის მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებების გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდას და მორალური ზიანისთვის 22 მლნ ლარის (17 მლნ დოლარი) ოდენობის კომპენსაციას მოითხოვს.

„მე უკვე შევიტანე სარჩელი სააკაშვილის, მერაბიშვილის, ბაქრაძისა და ხაჩიძის წინააღმდეგ. ისინი არაერთხელ გამოვიდნენ ჩემს მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებებით, სიცრუეს ავრცელდებდნენ და უსაფუძვლო ბრალდებებს აჟღერებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დავიწყე. მოვითხოვ, საჯაროდ ბოდიშის მოხდას და 22 მლნ ლარის ოდენობის კომპენსაციას“, – განაცხადა ჩახალიანმა.

პირველი

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# კრისტოფერ კოპოლამ გამარჯვებულები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი




ფესტივალი „ხელმისაწვდომი ჰოლივუდი საქართველო 2013“ დასრულდა. ფესტივალის დახურვისა და გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში გაიმართა.

ფესტივალი 5 სხვადასხვა კონკურსს მოიცავდა – „ცირკის ზმანება“, „მობილური ტელეფონის კონკურსი“, „ციფრული პორტრეტის კონკურსი“, „მუსიკის პოეზია“ და „კინემატოგრაფისტთა გამოწვევა“. ეს საკონკურსო თემები მასში მონაწილე სხვადასხვა ასაკის კონკურსანტებს საქართველოში სტუმრად მყოფმა ამერიკელმა რეჟისორმა კრისტოფერ კოპოლამ თავად შესთავაზა. 7-დან 14 წლამდე კონკურსანტებს აღნიშნული თემების ირგვლივ მოკლემეტრაჟიანი ფილმი ან ციფრული ფოტო უნდა გადაეღოთ. ნამუშევრები ფესტივალის ვებგვერდზე აიტვირთა და მომხმარებლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით საშუალება მიეცათ, ხმა მიეცათ თავიანთი რჩეულისთვის. საკონკურსო ფილმების ჩვენება და დაჯილდოების ცერემონიალი კინოთეატრ „ამირანში“ დაიგეგმა. მსოფლიოს მიერ არჩეული საუკეთესო ნაშრომის შემოქმედებითი ჯგუფისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემა გადაწყდა.

კონკურსანტებმა დავალებები უშუალოდ კოპოლასგან მიიღეს. გადასაღებ სივრცედ შეირჩა ძველი თბილისი – აბანოთუბანი და ნარიყალა. „ჯიბის“ ციფრული კამერის გამოყენებით ბავშვებმა აკინძეს ფილმის შემადგენელი ნაწილები. მონაწილეებს ადგილზე დაურიგდათ დავალების განმარტებითი ცნობარები, რითაც იხელმძღვანელეს თავიანთი შემოქმედებითი მოგზაურობისას. ყველა მათგანის ნამუშევარი აიტვირთა ფესტივალის ვებგვერდზე და საუკეთესოს ხმა მთელმა მსოფლიომ მისცა. შერჩეულ მონაწილეთა რაოდენობა – 100. მობილური ტელეფონის კონკურსში ასაკი შეუზღუდავია. ფესტივალის გახსნის დღეს კრისტოფერ კოპოლამ გამოაცხადა თემა, რომელზეც თითოეულ მონაწილეს მობილური ტელეფონის კამერის გამოყენებით უნდა გადმოეცა საკუთარი ხედვა. ნამუშევრის ხანგრძლივობა განისაზღვრა 60 წამით და ერთი უწყვეტი კადრით. ყველა მათგანმა ნამუშევარი დასრულებისთანავე საკუთარი მობილური ტელეფონითვე გააგზავნა ელექტრონულ მისამართზე და საუკეთესოს ხმა მთელმა მსოფლიომ მისცა. შერჩეულ მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავია. ციფრული პორტრეტის კონკურსში 14-28 წლის კონკურსანტები მონაწილეობდნენ. ამ კონკურსში მონაწილეებმა კრისტოფერ კოპოლასგან მიიღეს ტექნიკური დავალება. კონკურსანტებმა ციფრული კამერის გამოყენებით გადაიღეს 2-წუთიანი პორტრეტი საკუთარი ან სხვა ადამიანისა. მათ შეეძლოთ, გადაეღოთ როგორც საკუთარი, ისე ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში არსებული ჯიბის ვიდეოკამერით. ყველა მათგანის ნამუშევარი აიტვირთა ფესტივალის ვებგვერდზე და საუკეთესოს ხმა მთელმა მსოფლიომ მისცა. შერჩეულ მონაწილეთა რაოდენობა 50 კონკურსანტით განისაზღვრა. კონკურსში მუსიკის პოეზია 9-28 წლის კონკურსანტები მონაწილეობდნენ. მონაწილეებმა დავალება კრისტოფერ კოპოლასგან მიიღეს. მათ ერთი კვირის მანძილზე უნდა შეექმნათ მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც შეუხამებდნენ გამოსახულებას და თავად გადაიღებენ მას ჯიბის კამერებით, ფილმის ხანგრძლივობა 2 წუთით განისაზღვრა.

– მწამს, რომ მუსიკა ყველაფერშია – კაკუნში, ღიღინში, მუსიკალურ ჯგუფსა თუ მთლიან ორკესტრში. ნაწარმოები უნდა გამოხატავდეს სულხან-საბა ორბელიანის სამყაროს. ეს არ არის მუსიკალური „კლიპი“. ეს უფრო პოეტურ ცეკვას ჰგავს მუსიკასა და გამოსახულებას შორის. მოგვასმენინეთ გამოსახულება და დაგვანახვეთ მუსიკა, – განაცხადა კრისტოფერ კოპოლამ.

მონაწილეებმა დასრულებული სახით წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევარი. ყველა მათგანის ფილმი აიტვირთა ფესტივალის ვებგვერდზე და საუკეთესოს ხმა მთელმა მსოფლიომ მისცა. შერჩეულ მონაწილეთა რაოდენობა 25 კონკურსანტით განისაზღვრა.

კონკურსი კინემატოგრაფისტთა გამოწვევა – ფესტივალის ფარგლებში კრისტოფერ კოპოლასა და ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ შერჩეული უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი 5 სტუდენტისგან დაკომპლექტებული 5 გუნდი აღმოჩნდა, რომელსაც დაევალა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ მოტივებზე 10-წუთიანი ფილმის გადაღება კრისტოფერ კოპოლასა და მისი შემოქმედებით-ტექნიკური ჯგუფის მითითებებითა და უშუალო ხელმძღვანელობით. თითოეული გუნდის ფილმში მონაწილეობა თავად კრისტოფერ კოპოლამ მიიღო. ფილმის მზადებისათვის, გადასაღებად და სამონტაჟოდ სტუდენტებს 9 დღე მიეცათ. ფესტივალის ვებგვერდზე აიტვირთა თითოეული ნამუშევარი და მთელმა მსოფლიომ ხმა მისცა საუკეთესოს. ამ პროექტისთვის თითოეულმა უნივერსიტეტმა წარადგინა 5 სტუდენტისგან დაკომპლექტებული გუნდი – სტუდენტები, რომლებმაც მოირგეს რეჟისორის, მსახიობის, სცენარისტის, ოპერატორისა და კომპოზიტორის ფუნქციები. უშუალოდ კრისტოფერ კოპოლასგან მიღებული დავალების შემდეგ გუნდმა დაიწყო გადაღება. სამონტაჟო აპარატურის ბაზა, სადაც მოხდა ფილმის დამონტაჟება, უზრუნველყო წარმდგენმა უნივერსიტეტმა.

სტუდენტებმა კონკურსის ფარგლებში სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით 10-გვერდიანი სცენარი დაწერეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ სცენარების განხილვის საფუძველზე საბოლოოდ შეირჩა 5 გამარჯვებული გუნდი – „ვან დოლარ“, „დიდვაჭარი და მათხოვარი“, „ძუნწი და ოქრო“, „ოთხი ყრუ“ და „ძროხის კუდი“, რომელთაც უშუალოდ კრისტოფერ კოპოლასგან მიიღეს დავალება და დაიწყეს გადაღება.

სტუდენტები მომავალშიც გააგრძელებენ კრისტოფერ კოპოლასთან მუშაობას სკაიპის საშუალებით. ფილმი ნაჩვენები იქნება სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე და ის იქნება როგორც კოპოლას, ისე ქართველ სტუდენტთა, „ფესტივალი კინემატოგრაფია საქართველოსთვის“ და „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ კუთვნილება.

– ჩვენი ორგანიზაცია „პროექტი ხელმისაწვდომი ჰოლივუდი“ არაკომერციულია, ამ ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ფესტივალი უკვე 7 წელია ფუნქციონირებს. უკვე 44 ფესტივალი გვაქვს გამართული. ეს არის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის მთავარი მიზანია, ფართოდ გაიღოს ჰოლივუდის კარი ყველა ქვეყნის ახალგაზრდობისთვის – მისწვდი ჰოლივუდს – ჩვენი დევიზია. ფესტივალის ორგანიზატორებს გვჯერა, რომ ყველა ერი განსაკუთრებული და გამორჩეულია თავისი თვითმყოფადი კულტურით. თითოეულს უნიკალური ინდივიდუალიზმი ახასიათებს. ვიზუალური სინტაქსური კინოწარმოება კი ყველაზე ძლიერი საშუალებაა, ამიტომ ყველაფერი ეს ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ, – განაცხადა კოპოლამ.

შემოქმედებით-ტექნიკურმა ჯგუფმა საქართველოში ტრენინგები გამართა და ქართველ ახალგაზრდებს მუშაობის სპეციფიკა გაუზიარა.

– ქართული პროდუქტის მსოფლიო მასშტაბით გატანა თითოეული გამარჯვებული ახალგაზრდის წინსვლასა და მთელი ქვეყნის კინოინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს, – განმარტავს კრისტოფერ კოპოლა.

ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორი და პროდიუსერი კრისტოფერ კოპოლა ბათუმში იმყოფებოდა. მან საკუთარი ფილმი „უცნობი კოპოლა“ წარუდგინა მაყურებელს, შემდეგ კი რეჟისორის გიორგი მეგრელიშვილის ფილმის „იბრძოლე“ ჩვენება მოეწყო.

მწერალთა სახლში ფესტივალის „პროექტი ხელმისაწვდომი ჰოლივუდი“ ფარგლებში შეხვედრა გაიმართა. სცენარისტებს, დრამატურგებს, ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს, თუ, უბრალოდ, ლიტერატურასა და კინოზე შეყვარებულ ადამიანებს ჰოლივუდელი რეჟისორი, პროდიუსერი და პედაგოგი კრისტოფერ კოპოლა მწერალთა სახლში შეხვდა. შეხვედრის თემა სულხან-საბა ორბელიანი და „სიბრძნე-სიცრუისა“ იყო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სპეციალური ბრძანებაც გამოსცა, რომელიც სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებაა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა, 2013 წლის 2-17 ივნისს „ფესტივალის – პროექტი ხელმისაწვდომი ჰოლივუდი, საქართველო 2013“-ის ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში“ – წერია პრემიერ-მინისტრის ბრძანებაში.

– ჰოლივუდი თითოეული ახალგაზრდის ცნობიერებაში მიუწვდომელი და საოცნებო ადგილია. ქართული კინოინდუსტრიის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, სტუდენტებს ხშირად არა აქვთ ფუფუნება, შექმნან საკუთარი ნამუშევარი და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს გააცნონ. „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ მსოფლიო კინოხელოვნებაში აღიარებული ოჯახის – ფრენსის ფორდ კოპოლა, სოფია კოპოლა, ნიკოლას ქეიჯი – წევრის, რეჟისორის, პროდიუსერისა და პედაგოგის კრისტოფერ კოპოლას საშუალებით მისცა შანსი თითოეულ ახალგაზრდას, თავისი ხედვა, კონცეფცია, ნიჭი მთელი მსოფლიოსთვის დაენახვებინა, – განაცხადა მინისტრმა ლევან ყიფიანმა.

მისივე თქმით, კრისტოფერ კოპოლა უკვე 7 წელია სათავეში უდგას არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს, მსოფლიოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ფართოდ გაიღოს ჰოლივუდის კარი. ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატის, იტალიის, გერმანიისა და სლოვენიის შემდეგ კრისტოფერ კოპოლა და მისი შემოქმედებით-ტექნიკური ჯგუფი რამდენიმე მნიშვნელოვანი კონკურსის გასამართად მთელი ტექნიკური აღჭურვილობითა და გამოცდილებით საქართველოში ჩამოვიდნენ.

– მათი ტრენინგები, მუშაობის სპეციფიკა, გადაღებების გრაფიკი და საბოლოოდ ქართული პროდუქტის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გატანა ხელს შეუწყობს როგორც თითოეული გამარჯვებული ახალგაზრდის წინსვლას, ისე მთელი ქვეყნის კინოინდუსტრიის განვითარებას. პროექტში ჩართულია მთელი საქართველოს ახალგაზრდობა. ამას გარდა, ეს პროექტი ხელს შეუწყობს ქართველი ახალგაზრდების ყველაზე ეროვნული კუთხით განვითარებას, რადგან ფესტივალის საერთო თემა არის სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე-სიცრუისა“, – აღნიშნავს მინისტრი.

# „თეატრი“ – საყმაწვილო ალმახანი გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

ახმეტელის თეატრში თბილისის მერიის ხელშეწყობით საყმაწვილო ალმანახ „თეატრის“ პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ახმეტელის თეატრის მმართველმა თამაზ გოლაძემ „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ჟურნალისტები პატარა ხელოვანები არიან და ისინი ქართულ თეატრალურ სამყაროს ბავშვების დანახული თვალით წარუდგენენ მკითხველს.

როგორც პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, მათი სურვილია, ალმანახი წელიწადში ორჯერ გამოიცეს და მოზარდმა კორესპონდენტებმა ქართველ საზოგადოებას თეატრი მრავალფეროვან ჭრილში წარუდგინონ.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

– ეს არის პირველი გამოცემა საყმაწვილო ალმანახისა, რომელსაც ჰქვია „თეატრი“. ეს არის პირველი ნომერი და მისი პრეზენტაცია ახმეტელის თეატრში შედგა. გამოცემა თბილისის მერიისა და ჩვენი თეატრის ერთობლივი შემოქმედებითი ნამუშევარია. ის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ კორესპონდენტები არიან ბავშვები. ეს ის ბავშვები არიან, რომლებიც სახელოვნებო სკოლებში სწავლობენ. საინტერესოა მათი ხედვა, მათი თვალით დანახული თეატრისა თუ მსახიობის ბიოგრაფიის აღწერა. ჩვენ ვთვლით, რომ ამით ძალიან დიდ საქმეს გავუკეთებთ იმ ბავშვებს, რომლებიც ხვალ, ზეგ, მაზეგ თეატრის შესახებ უნდა წერდნენ და ალბათ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც რეცენზიებს დაწერენ თეატრის შესახებ ან ინტერვიუებს აიღებენ. ასეთი მოსინჯვა იყო პირველი და მგონია, რომ საინტერესო გამოვიდა.

მაინც თეატრია, მაინც პირველია და ამ გამოცემას ვუძღვნით გიგა ლორთქიფანიძის ხსოვნას. სამწუხაროდ, ასე დაემთხვა. გვინდა გაგრძელდეს მომავალშიც ასეთი ალმახანის გამოცემა და კიდევ უფრო გაფართოვდეს. გვინდა, მრავალფეროვანი იყოს ხედვები, თეატრში მომუშავე სხვა სპეციალისტებიც იყვნენ წარმოჩენილნი, რა ხდება კულისებში, როგორ ეწყობა დეკორაცია, სპექტაკლი. გვინდა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ იმისკენ, რომ საზოგადოება მოტრიალდეს თეატრისკენ. მრცხვენია, ამას რომ ვამბობ, რადგან ნებისმიერ ქართველში ისევეა გამჯდარი სისხლსა და ხორცში თეატრი, როგორც პატრიოტიზმი. ამის გაღვივებას ვცდილობთ და ამისკენ მივისწრაფვით. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ძალიან ცოტა ხანში წავიდნენ ამქვეყნიდან ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, ახლა – გიგა ლორთქიფანიძე. თეატრი არის ცოცხალი ორგანიზმი. ის მსახიობი, რომელიც გამოდის და ფარდა დაიხურება, ხვალ ზუსტად ისეთი აღარ იქნება, მეორე დღეს სულ სხვანაირი იქნება. ცოცხლად მსახიობის დანახვა სულ სხვაა. გიგა ლორთქიფანიძე ხომ ველარ დადგამს სპექტაკლებს? მაშინ არის სპექტაკლი საინტერესო, როცა ის იდგმება. გვინდა, მაყურებელს ეს სიახლეები არ გამორჩეს და თითოეული მსახიობი დაინახოს ცოცხლად და შეაფასოს მისი ნამუშევარი და შემოქმედება.

***– პირველი ალმანახი ერთ კონკრეტულ თეატრს მიეძღვნა?***

– არა, ამ ალმანახში საკმაოდ მრავალფეროვანი მასალებია. მასში რუსუდან ბოლქვაძესთან არის ინტერვიუ, გოგი თოდაძესთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან. ყველა თეატრზეა საუბარი, ისე, რომ ალმანახი ერთ თეატრს რომ მიეძღვნას, ჯერ ასე არ არის, თუმცა, არ არის გამორიცხული, დავხვეწოთ და ასეც გამოვცეთ. პირველი ალმანახი მაინც მრავალფეროვანი გვინდოდა ყოფილიყო.

***– რამდენი ჟურნალისტი მუშაობს თქვენს ალმანახზე?***

– ძალიან საინტერესოა მათი ხედვა. 12 წლის ჟურნალისტები არიან.

***– ალმანახს რა სიხშირით გამოსცემთ?***

– გვინდა, წელიწადში ორჯერ გამოვცეთ, მაგრამ, თუ რამე შეგვიშლის ხელს, წელიწადში ერთხელაც არ იქნება ცუდი. გვაქვს სურვილი, შემოდგომაზე და გაზაფხულზე გამოვცეთ ალმახანი, როცა თეატრალური პროცესები ყველაზე აქტუალურია, მაგრამ, თუ ვერ მოხერხდა, ერთხელაც საკმარისი იქნება. ეს დარჩება მომავალ თაობებს და იქნება ერთგვარი სიგნალი, საზოგადოება ნელ-ნელა მობრუნდება თეატრისკენ.

***– ვინც ვერ მოვიდა პრეზენტაციაზე, როგორ გაეცნობა ალმანახს?***

– ვინც ვერ მოვიდა პრეზენტაციაზე, მათ ნაცნობმეგობრობით მივაწვდით.

***– რა ტირაჟით დაბეჭდეთ ალმანახი?***

– ამჟამად 400 ცალი დავბეჭდეთ. თუ ეს ალმანახი დაიმკვიდრებს ადგილს, შეიძლება, მერე ტირაჟის გაზრდაზეც ვიფიქროთ.

***– არ გაიყიდება პრესის ჯიხურებში?***

– პირველ ნომერთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება არ მიგვიღია, მაგრამ, თუ გვექნა საშუალება, შეიძლება, სულ საჩუქრის სახით გავცეთ, თუ არადა, ნომინალური ფასი ჰქონდეს და თეატრში მისულ ყველა მაყურებელს მისი შეძენა სიმბოლურ ფასად შეეძლოს.


# განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# მანუჩარ მარკოიშვილის მორიგი ჩემპიონობა: თურქული ოქრო!

მანუჩარ მარკოიშვილი თურქეთის ჩემპიონია – „გალათასარაიმ“ ფინალური სერიის მე-5 მატჩი საკუთარ არენაზე ერთი ამოსუნთქვით – 76:58 ისე მოიგო, რომ მეტოქე „ბანვითს“ შანსი არ დაუტოვა. ამ პროვინციულ გუნდს ისიც საამაყოდ ექნება, ნახევარფინალიდან „ეფესი“ რომ გამოაგდო, ფინალში გავიდა და იქ მომავალ ჩემპიონთან სერია მშრალი ანგარიშით არ წააგო.

მარკოიშვილმა კი საქართველოს, იტალიის, უკრაინის და სლოვენიის ჩემპიონობას თურქული ოქროც მიუმატა და ქართველ კალათბურთელთა შორის გახდა პირველი, რომელმაც ამდენ და ასეთ ძლიერ ჩემპიონატებში გაიმარჯვა.

საჩემპიონო მატჩში მარკოიშვილმა ზომიერად ითამაშა და ასეთივე შედეგიანობაც აჩვენა. 20 წუთში მანუჩარმა 7 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი



მიითვალა. ქართველმა უკანახაზელმა 2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ჩემპიონებს ჩენკ აკიოლმა 22 ქულით ულიდერა, კარლოს აროიოს ანგარიშზე კი 15 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა.

ვიქტორ სანიკიძის „სიენა“ კი, იტალიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში 2:1 დაწინაურდა. ჩემპიონობამდე კიდევ 2 მოგება დარჩა, თუმცა სიენელებმა პირველობისკენ სოლიდური ნაბიჯი გადადგეს – მით უფრო, რომ სანიკიძის გუნდს მოედნის უპირატესობა გააჩნია.

სერიის მესამე მატჩი დაძაბული გამოდგა, რომლის ბოლოსაც სიენელებმა იძალეს და 89:81 გაიმარჯვეს. სანიკიძემ 10 წუთი ითამაშა და თავი 4 ქულას და ამდენივე მოხსნას მოუყარა. ქართველმა ფორვარდმა 2-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. სიენელთა ბომბარდირი 23 ქულით ბობი ბრაუნი გახდა, დანიელ ჰაკეტიმ კი თავი 17 ქულით და 8 პასით გამოიჩინა.

ფინალური სერიის მორიგი, მე-4 მატჩი რომში ჩაარდება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონფედერაციის თასი**

ბრაზილია-იაპონია ... 3:0

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**აფრიკა**

ბოსტვანა-ც.აფრიკა ... 3:2
ზამბია-სუდანი ... 1:1
უგანდა-ანგოლა ... 2:1
კონგო-ბურკინა ფასო ... 0:1
გაბონი-ნიგერი ... 4:1
კაბო ვერდე-სიერა ლეონე ... 1:0
მაროკო-გამბია ... 2:0

**ამხანაგური მატჩი**

გვატემალა-არგენტინა ... 0:4
ჩინეთი-ტაილანდი ... 1:5
ნიკარაგუა-ჰონდურასი ... 2:2

**ეჩ-2013. ნახევარფინალები**

ესპანეთი-ნორვეგია ... 3:0
იტალია-ჰოლანდია ... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ესტერი ... 0:0

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-უკ დუბლინი ... 5:2

**აშშ. მლს**

პორტლენდი-დალასი ... 1:0
დ.ს. იუნაიტედი-ტორონტო ... 1:2
კოლამბუსი-მონრეალი ... 2:0
კოლორადო-სან ხოსე ... 1:2
ვანკუვერი-ნიუ ინგლენდი ... 4:3

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

არხენტინოსი-კოლონი ... 1:0
ინდეპენდიენტე-სან ლორენცო ... 0:1
სან მარტინი-ესტუდიანტესი ... 2:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. ფინალი**

ჩიკაგო-ბოსტონი ... 1:2

**სერიის ანგარიში: 1:1**

# ზვიად სიჭინავა: 11 ცნობილია

„მიხეილ მესხის“ სტადიონის მედია ცენტრში სფფ-ს პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. პრესკონფერენციას სფფ-ს გენერალური მდივანი რევაზ არველაძეც ესწრებოდა.

– არანაირი ბოიკოტი, 11 გუნდმა უკვე დაადასტურა ჩემპიონატში მონაწილეობის მზაობა, მხოლოდ 1 გუნდის საკითხია გასარკვევი“, – ამ სიტყვებით სიჭინავა ეროვნული ჩეპიონატის ირგვლივ ბოლო პერიოდში შექმნილ სიტუაციას გამოეხმაურა.

მისი განცხადებით, უკვე დღეისთვის ჩემპიონატში მონაწილე 11 გუნდმა ოფიციალურად მიმართა ფედერაციას წერილით, სადაც ისინი სრულ მზაობას აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ 25-ე ეროვნულ ჩემპიონატში. ერთადერთი გუნდი, რომლის საკითხიც ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონია“. სიჭინავას თქმით, კლუბი ფინანსური თანასწორობის პრინციპის დაცვას ფინანსური სიტუაციის გაუმჯობესებას ითხოვს და მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადებს თანხმობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმირებულია სპორტის სამინისტროც და უკვე მიდის ამ საკითხზე მუშაობა. საბოლოო გადაწყვეტილება მომავალ კვირას უნდა იქნეს მიღებული. მომავალ კვირაშია დაგეგმილი აღმასკომის სხდომაც, სადაც საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი ყველა საკითხზე სპეკულაციას. გადაწყვეტილია, რომ ჩემპიონატში არ მოხდება მონაწილე გუნდების რაოდენობის ზრდა და ასპარეზობაში კვლავინდებურად 12 გუნდი ჩაერთვება. რაც შეეხება ჩემპიონატის დაწყების თარიღს, არსებობს ორი ვარიანტი 4 ან 10 აგვისტო. საბოლოო გადაწყვეტილებას აღმასკომი მიიღებს.

სიჭინავამ აღნიშნა, რომ მომავალ სეზონში გამკაცრებული იქნება ლიცენზირების პროცესი:

– როდესაც გუნდებს კალენდარი გადაეგზავნებათ შევამოწმებთ, როგორც უმაღლესი ლიგის, ასევე პირველი ლიგის კლუბებს და ვინც არ აკმაყოფილებს ლიცენზირების მოთხოვნებს, ის თავის მოედანზე ვერ ითამაშებს. შეუძლიათ ის მოედანი იქირაონ, რომელიც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია, რომ სტადიონზე იყოს ნორმალური საშხაპე, ინტერნეტი, პრესლოჟა და სხვა პირობები.

სფფ-ს პრეზიდენტი, მის მიმართ ფუტსალის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის და გენერალური მდივნის ბრალდებებსაც გამოეხმაურა.

– თუ ვინმეს საქმის კეთება უნდა, პირველ რიგში ილაპარაკონ სიმართლე. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენგან ფუტსალზე 811.944 ლარი და 22 თეთრია გადარიცხული. ეს არის ის თანხები, რომელიც ნაკრებზე და ჩემპიონატის ჩატარებაზე იხარჯებოდა და არ იგულისხმება ფუტსალის ოთხთა ფინალზე დახარჯული ფინანსები. აქედანაც ჩანს თუ ვინ როგორ ეკიდებოდა სპორტის ამ სახეობას. კახა დევდარიანის მიმართ, პირადად არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ის თითქოს მე ვინმეს პირადად ვაშინებდი და ვემუქრებოდი, აბსოლუტური სიცრუეა. 2009 წელს, როდესაც მან ჩემპიონატი ჩაატარა, გვერდით დავუდექით, ამას ფინანსებიც ადასტურებს, – განაცხადა მან.



სიჭინავამ წესდების ასლიც წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ფუტსალის პრეზიდენტობის ვადა დევდარიანს 2009 წელს ამოეწურა, ახალი პრეზიდენტის არჩევნები კი გაცილებით გვიან, 2010 წელს ჩატარდა. ფუტსალის ახალი აღმასკომის ამონაწერზე რომელიც რეესტრშია წარდგენილი, ორგანიზაციის გენ. მდივანის ბექა კვიციანის ხელმოწერაა.

– თუ ბატონ კვიციანს, რაიმე პრეტენზია ჰქონდა, არ მესმის ეს მაშინ რატომ არ გამოხატა. ამიტომ სჯობია, მან ახლა თავის საქმე აკეთოს. მალტაში და ჰოლანდიაში გამგზავრებისა და ჩემპიონატის ჩატარების თანხების ჩეკების საქმე ვერ მოაგვარეს და რაზეა საუბარი? ნუ აკეთებს განცხადებას 17 და 18-წლამდელებზე და ფედერაციაზე, გააკეთოს აქცენტი ფუტსალის ასოციაციის მუშაობაზე, – აღნიშნა სიჭინავამ.

ამ ბრალდებებს პრესკონფერენციაზე მყოფი, იბერია სტარის პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელიც გამოეხმაურა და მას აბსურდული და უსაფუძვლო უწოდა.

ზვიად სიჭინავამ კომენტარი „ვიტესის“ პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას წერილზეც გააკეთა, რომელიც რამდენიმე დღის წინ სოცილაური ქსელით გავრცელდა და სადაც ჟორდანია ფედერაციის საქმიანობას დადებითად აფასებს.

– სასიამოვნოა ასეთი სიტყვების მოსმენა. ბოლოს მერაბთან საუბარი ბელგიაში ყოფნის დროს მქონდა, სადაც კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია ფედერაციის მუშაობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმ გზით მივდივართ და ისე ვაკეთებთ ყველაფერს, რაც ქართულ ფეხბურთს სჭირდება, – განაცხადა სიჭინავამ.

პრესკონფერენციაზე სიჭინავა გარიგებული მატჩების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟსაც შეეხო

– გარიგების შესახებ საუბარი საუბრისვე დონეზე რჩება. სამწუხაროდ, ამის დამამტკიცებელი ფაქტები არ არსებობს. ითქვა, რომ გარიგებულ მატჩებში ყველა გუნდი მონაწილეობს. ჩვენ მზად ვართ, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დაგვკითხონ და ფეხბურთის ფედერაციის ნებისმიერი თანამშრომელი გასცემს პასუხს იმაზე, რაც იცის. საუბარი ყოველთვის მიდის სეზონის ბოლოს ჩატარებულ თამაშებზე. სეზონის პირველ ნახევარში ჩატარებულ მატჩებზე არავინ ამბობს, რომ ჩაწყობილია ან არაა ჩაწყობილი. ან თქვან თუ ვინმემ მართლა რამე იცის, ან საერთოდ შეწყდეს ამაზე საუბარი, – დასძინა სიჭინავამ.

პრესკონფერენციის ბოლოს, კითხვა სანაკრებო თამაშებზე და ყენია ქეცბაიას დაძაბულ ურთიერთობაზეც დაისვა, რომელსაც რევაზ არველაძემ უპასუხა.

– არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ირლანდიასთან და დანიასთან ჩატარებულმა თამაშებმა დაგვაკმაყოფილა, ან შედეგი იყო კარგი, თუმცა ვფიქრობ, დანიასთან თამაში წასაგები არ იყო. ირლანდიასთან დაკავშირებით სხვა დამოკიდებულება მაქვს. რაც შეეხება ყენიას და ქეცბაიას ურთიერთობას, ზოგჯერ უთქმელობა ბევრ პრობლემას იწვევს, მაგრამ ზოგჯერ ყველაფრის ერთად თქმაც არ შეიძლება. მაგალითად, ის პასაჟი ავიღოთ, რომ ორ თამაშში ნაკრებმა ერთი თავდამსხმელით ითამაშა, ამ დროს გელაშვილის გარდა ნაკრებში სირბილაძე და დვალიშვილი იყვნენ გამოძახებულები. იგივე, ყენიას შეუძლია თქვას მწვრთნელისა და 20 ფეხბურთელის თანდასწრებით, რომ ვთქვათ, ნაკრებმა ერთი თავდამსხმელით არ უნდა ითამაშოს. ვერ ვიტყოდი, რომ ყენიასა და ქეცბაიას შორის კონფლიქტია. დამერწმუნეთ თუ საჭირო იქნება ყენიას გამოძახება, ქეცბაია მას გამოიძახებს, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

არველაძე, ქეცბაიასთან სამომავლო ურთიერთობის საკითხსაც შეეხო

– ილუზია თავიდანვე არ გვქონდა, რომ ამ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებდით. სურვილი და ჟინი ყველას ჰქონდა და ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებდით, თუმცა ჯგუფში ორი ურთულესი მეტოქე გვყავდა. როდესაც ციკლი დასრულდება, დავსხდებით და გავაანალიზებთ. როგორც ვიცი, ქეცბაიას კონტრაქტი კიდევ 2 წლით და რამდენიმე თვით აქვს, – განაცხადა არველაძემ.

# ტორპედომ ახალწვეულები წარადგინა

ქუთაისის „ტორპედოს“ ცენტრალური სტადიონის სადღესასწაულო დარბაზში ახალი შემადგენლობის საზეიმო პრეზენტაცია გაიმართა. როგორც იცით, სეზონის დასრულების შემდეგ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გუნდი დატოვეს მთავარმა მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა, რომლის ნაცვლადაც მოვიდნენ ესპანელი სპეციალისტი ჯერარდ სარაგოსა მულე და 17 ახალი ფეხბურთელი. სწორედ ამ ფეხბურთელების წარდგენა მოხდა დღეს.

ესპანელ მწვრთნელს ასისტენტობას გაუწევს დიმიტრი თოფურიძე, ფიზმომზადების მწვრთნელი ალბერტო ბეროკალ კორეა იქნება, მეკარეების მწვრთნელი კონსტანტინე გუგუნავა, ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი, ფიზიოთერაპევტი რობერტ ხვადაგიანი. რაც შეეხება 17 ახალწვეულს, მათი გარკვეული ნაწილი წინა 17-წლამდელთა შემადგენლობიდანაა, რომლებმაც გასულ წელს გამართული ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშეს, ხოლო გარკვეული ნაწილი 19-წლამდელთა ნაკრებიდანაა, რომლებიც ლიტვაში, 20 ივლისიდან 1 აგვისტომდე გასამართ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ. კომპანია „ვისოლი“ სწორედ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს.

**ლევან ფხაკაძე:**

– მესამეა წელია, რაც „ტორპედოში“ ვართ. ბოლო ორი სეზონია გუნდი ბრინჯაოს პრიზიორი ხდება, მაგრამ ეს არ არის ის ზღვარი, რომელზეც ვაპირებთ გაჩერებას. გვინდა გუნდმა უფრო მეტისთვის იბრძოლოს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ აქცენტი გაგვეკეთებინა ახალგაზრდა და ნიჭიერ ფეხბურთელებზე, რომლებიც თავიანთ ასაკში წარმატებულები არიან. მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ, ისინიც გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას. რომ ლეგენდარულ გუნდში მოვიდნენ, ეს უნდა გაითავისონ და შეძლონ იმის გაკეთება, რასაც კლუბი მათთან ერთად ისახავს მიზნად.

ლევან ფხაკაძემ დიდი მადლობა გადაუხადა გია გეგუჩაძეს, რომლის ხელმძღვანელობის პერიოდშიც გუნდმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია.

ჟერარდ სარაგოსამ კლუბის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა, რომ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე მიანდეს, ასევე კლუბსა და ფეხბურთელებს, რომლებთან ერთადაც მუშაობდა და ახლაც გააგრძელებს მუშაობას. ესპანელმა განაცხადა, რომ მზად არის ის დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს, რაც მას ხელმძღვანელობამ მიზნად დაუსახა.

კიდევ ერთი სიახლეა ის, რომ „ტორპედო“ შინ თეთრი მაისურებითა და შავი ტრუსებით ითამაშებს.

ყველა ახალწვეულს ნომრიანი მაისური გადასცეს: ბაჩო მიქავა (25), დავით მთივლიშვილი (22), რევაზ ჩიტეიშვილი (3), ომარ პატარკაციშვილი (17), ერეკლე სულთანიშვილი (23), გიორგი გოროზია (18), ლუკა კიკაბიძე (99), დავით ჯიქია (9), მათე ცინცაძე (6), თორნიკე კაპანაძე (32), ნიკა ჭანტურია (13), დავით უბილავა (80), ალეკო მზევაშვილი (30). პრეზენტაციას არ ესწრებოდა კიდევ ორი ფეხბურთელი გიორგი გაბაძე (27) და ლუკა ზარანდია (77).

და კიდევ, პრეზენტაციას არ დაესწრნენ ქომაგთა კლუბი „ჯუნგლები“, რომლისაც კლუბის მეპატრონის, კომპანია „ვისოლის“ მიმართ თავიანთი პრეტენზია გააჩნიათ.

# ქართველმა 19-წლამდელებმა მეტოქეები გაარკვიეს

ლიტვის დედაქალაქ კაუნასში, 19-წლამდელთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისწყრა გაიმართა, სადაც გაირკვა იმ სამი გუნდის ვინაობაც, რომელიც საქართველოს ნაკრებთან ერთად ნახევარფინალური საგზურისთვის იბრძოლებს. პატარა „ჯვაროსნები“ ბ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქეები სერბეთის, თურქეთის და საფრანგეთს ნაკრებები იქნებიან.

ა ჯგუფში ესპანეთი, ჰოლანდია, პორტუგალია და მასპინძელი ლიტვა იასპარეზებენ.

თავად ჩემპიონატს 20 ივლისიდან 1 აგვისტომდე, კაუნასის გარადა, ქალაქები მარიამპოლი და ალიტუსი უმასპინძლებენ. ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 20, 23 და 26 ივლისს გაიმართება, ნახევარფინალები 29 ივლისს ჩატარდება.

ევროპის ჩემპიონის ვინაობა კი, 1 აგვისტოს გახდება ცნობილი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ხმაურიანმა გამოსვლამ ქართველი ხალხი აღაფრთოვანა. ქუთაისის ტორპედოელებმა – ცენტრალურმა მცველმა ნიკა სანდოხაძემ (3-ვე მატჩი), შემტევმა ნახევარმცველმა თეიმურაზ მარკოზაშვილმა (2 მატჩი) და ფორვარდმა გიორგი ფანცულაიამ (2 მატჩი, 2 გოლი) არც თუ ისე მცირე წვლილი შეიტანეს აღნიშნულ მონაპოვარში.

**ფანცულაია:**

– ბელგიაში ჩასვლის დღიდან ძალიან მომართულები ვიყავით ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად. ალბათ, საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს არ სჯეროდა, რომ ამას გავაკეთებდით, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ეს შევძელით და შემდეგი ეტაპის საგზური მოვიპოვეთ, რამაც ჩვენდამი ხალხის სიყვარული, დაფასება და საკუთარი თავის რწმენა უფრო გაზარდა, ამასთან ერთად დიდი გამოცდილებაც მივიღეთ.

**მარკოზაშვილი:**

– ბუნებრივია, ასეთი წარმატება იოლად არ მიიღწევა, ბიჭებმა ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავიღეთ და ამან შედეგიც მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი მსაჯობის გამო ბევრი წინაღობა გვქონდა, ევროპის ჩემპიონატზე მაინც გავედით, სადაც ასევე ვეცდებით ისეთი შედეგები ვაჩვენოთ, რომ ქართველი ხალხი კიდევ უფრო მეტად გავახაროთ.

**სანდოხაძე:**

– ურთულესი ჯგუფური ეტაპი გამოვიარეთ. ფავორიტი ინგლისის ნაკრები იყო, მაგრამ ჩვენთან გამართულ პირველივე თამაშში მათთვის სასურველი შედეგი არ დაფიქსირდა. შოტლანდიასთან 9 კაცით დავრჩით, მაგრამ მაინც საჩვენოდ დავასრულეთ მატჩი. ბელგიასთან დაპირისპირებას რაც შეეხება, რომელიც გადამწყვეტი იყო, მოგება გვჭირდებოდა, თან ცუდი მდგომარეობა გვქონდა სათადარიგო ფეხბურთელების სახით, მაგრამ ბიჭებმა ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ჩვენი ქვეყანა გვესახელებინა. დიდი მადლობა მათ ვინც ბელგიაში გვქომაგობდა და ყველას, ვინც ჩვენ გვიჭერდა მხარს. ყოველ წუთში ვგრძნობდით, რომ მთელი საქართველო გვერდში გვედგა.

***– რის ხარჯზე აჯობეთ თქვენს მეტოქეებს?***

**სანდოხაძე:** პირველ რიგში, გუნდური თამაშით, ერთმანეთს ყოველთვის გვერდში ვედექით. რა თქმა უნდა რწმენითაც და მიუხედავად იმისა, რომ თამაშითაც ვაჯობეთ გუნდებს, ცოტაოდენი გამართლებაც გვქონდა.

**მარკოზაშვილი:** ჩვენ ფიზიკურად, მორალურად და ფსიქოლოგიურად ბოლომდე მზად ვიყავით, შესაძლოა, მეტოქეები ამისთვის არ იყვნენ მზად.

**ფანცულაია:** ალბათ, ჩვენ ყველანაირად უფრო სწორი მიდგომა გვქონდა ამ თამაშების მიმართ.

***– დამდეგი ფინალური ეტაპისგან რას ელით?***

**მარკოზაშვილი:** არასდროს არ მისცემია საქართველოს იმის შანსი, რომ მოწინავე ადგილი დაეკავებინა 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვეცდებით, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ.

**სანდოხაძე:** ჩვენი მიზანია, რომ მინიმუმ მეოთხედფინალი გადავლახოთ, იმიტომ, რომ გვაქვს ამის პოტენციალი.

**ფანცულაია:** რა თქმა უნდა, ურთულეს შეხვედრებს ველით, ჩვენზე დამყარებული იმედები გვინდა გავამართლოთ და უპირველესი ამოცანაა, რომ ნახევარფინალში ვითამაშოთ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ნიკოლოზ რაჭველი ჩივის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტრის ადმინისტრაცია თვეების მანძილზე აწარმოებდა შეხვედრებსა და კონსულტაციებს სამინისტროს წარმომადგენლებთან. მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ასეთი დამოკიდებულებისა, 7 ივნისს, სრულიად მოულოდნელად, კულტურის სამინისტრომ საჯარო განცხადება გააკეთა, რის შემდგომაც ჩვენ იძულებული გავხდით, უსამართლო ბრალდებებზე პასუხი გაგვეცა და ვაცხადებთ, რომ დღეიდან მთელი ეს პროცესი იქნება გამჭვირვალე და გამუდმებით მოგაწვდით ინფორმაციას ჩვენ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი ცენტრის საქმიანობა რამდენიმე თვის მანძილზე გულმოდგინედ შეისწავლა იურიდიულმა, ფინანსურმა და შემოქმედებითმა კომისიამ, კულტურის სამინისტრომ მოამზადა 10-გვერდიანი დასკვნა, სადაც, როგორც თავად მინისტრმა გურამ ოდიშარიამ 7 ივნისს გაკეთებულ სატელევიზიო კომენტარში ბრძანა, „საუბარია მცირედ იურიდიულ – ფინანსურ ხარვეზებზე“, ხოლო ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა ნიკოლოზ რაჭველის შემოქმედებითი დანაშაულებისა და დარღვევების ფართოდ განხილვას. მთელი ამ წლების მანძილზე, ჩვენ თავდაუზოგავად ვშრომობდით თქვენთვის და ვასრულებდით ჩვენს მთავარ მისიას, ყოველთვიურად მინიმუმ 2-ჯერ ვმართავდით კლასიკური მუსიკის საღამოებს, ვიწვევდით გამოჩენილ სოლისტებს, დირიჟორებს და ასევე ორგანიზებას ვუწევდით არაერთ ჩვენთვის ძალზე საამაყო ფესტივალს, პარალელურად კი სხვადასხვა სახელმწიფო თუ ტელეპროექტების საშუალებით პროპაგანდას ვუწევდით ქართველ კომპოზიტორთა სასიმღერო ჟანრის მუსიკას. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ აღნიშნული შემოქმედებითი დასკვნით სრულიად დაუმსახურებელ შეურაცხყოფად იქცა, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა დასკვნის საფუძველზე სამინისტროს მიერ მომზადებულმა სადამსჯელო ღონისძიებამ. ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად, დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რაც გახლავთ პირდაპირი გაგებით, ერთ კაცზე – ნიკოლოზ რაჭველზე მორგებული კანონი, რის თანახმადაც, ჩვენი ხელმძღვანელის გასაკონტროლებლად ცენტრის სრული მართვის უფლება მიენიჭა 4-კაციან საბჭოს, რომლის შემადგენლობაც ერთპიროვნულად გადაწყვიტა სამინისტრომ და ამით სრულიად უგულებელყო სამხატვრო ხელმძღვანელის და მთავარი დირიჟორის ინსტიტუტი. აღნიშნული საბჭო, რომლისთვისაც ჩვენ დაგვეკისრა ხელფასების დანიშვნის ვალდებულებაც, თურმე თვეში რვაჯერ უნდა შეიკრიბოს და გამართოს თათბირი. ამ საბჭოს მეხუთე წევრად ემატება სამხატვრო ხელმძღვანელიც, ხოლო თუ მას სხდომასა და თათბირზე, ე.წ. არასაპატიო გაცდენები დაუგროვდება, საბჭო, რამდენიმე მკაცრი გაფრთხილების შემდეგ, მისი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს, რაც ძალიან ჰგავს მიზანმიმართულ გეგმას და საბჭოს წევრობაზე თუნდაც გია ყანჩელის ან პაატა ბურჭულაძის კანდიდატურებზე სამინისტროს მხრიდან პრინციპული უარის თქმა ამ ეჭვს აძლიერებს და ამტკიცებს.

7 ივნისიდან მოყოლებული, კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნების ასევე მრავალი განცხადება მოვისმინეთ იმის თაობაზე, რომ ნიკოლოზ რაჭველის მიერ დაკავებული თანამდებობის დატოვების საკითხი არ დგას. თუმცა, აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც შემდგომში იურისტებთან ერთად გავარკვიეთ, ამ განცხადების გაკეთებამდე ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე ანუ 2013 წლის 15 მაისიდან, დებულებაში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ნიკოლოზ რაჭველის პოსტი მუსიკალურ ცენტრში ავტომატურად გაუქმებული იყო და, შესაბამისად, იგი გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავისთან დაპირისპირება არ გვინდოდა და არც ახლა გვინდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ 6 თვის მანძილზე დიალოგისა და მოლაპარაკების წესით, შედეგის მიღწევის იმედი გვქონდა და, რა თქმა უნდა, არ ველოდით, რომ პასუხად მივიღებდით დებულებას, რომელსაც არც საქართველოში და არც მსოფლიოში არ გააჩნია ანალოგი. აქვე ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის ძალზე ძვირფასია ეს ცენტრი, ამ სცენაზე ჩვენ მიერ შესრულებული ყველა კონცერტი და ყველა ის სამომავლო გეგმა, რომლის განხორციელებასაც შემდგომში ვაპირებთ, ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ საქართველოს ჰქონდეს უმაღლესი ხარისხის ეროვნული მუსიკალური ცენტრი და მტრულად განწყობილ ადამიანთა გარკვეულ დაჯგუფებას, ვინც გამუდმებით რაღაც საჩივრებით დადის და ზეწოლას ახორციელებს კულტურის სამინისტროზე, ვერ მივცემთ ჩვენი ნაშრომის განადგურების უფლებას.

ჩვენ ვთვლიდით, რომ ჩვენს ცენტრში უნდა გაგრძელდეს დაწყებული რეფორმა და გადავიდეთ მართვის ახალ, ევროპულ სისტემაზე, დებულებაში კი უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, არათუ სამხატვრო საბჭოს, არამედ მუსიკალურ ხელმძღვანელსაც კი უნდა ირჩევდეს შემოქმედებითი კოლექტივი და არა ისე, როგორც საბჭოთა დროში და, სამწუხაროდ, დღემდე, როცა სამინისტროს ჩინოსანი წყვეტს, ვინ უნდა იყოს მთავარი დირიჟორი თუ სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაბოლოს უნდა გაცნობოთ, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები დებულებაში ჩვენ მიერ საქართველოს მთავრობაში გასაჩივრებულია და კანონის შესაბამისად სამინისტროს მიერ დამალვით შეცვლილი დებულების მოქმედება შეჩერებულია. მომდევნო 1 თვის მანძილზე ცენტრი იმართება ძველი დებულებით, რის საფუძველზეც ნიკოლოზ რაჭველს 13 ივნისს დაუბრუნდა თავისი უფლებამოსილება, უხელმძღვანელოს ცენტრს, საქართველოს მთავრობა კი განიხილავს გასაჩივრებულ დებულებას და, ჩვენის ღრმა რწმენით, არჩევანს გააკეთებს თანამედროვე ევროპულ ღირებულებებსა და ცენტრის განვითარებაზე ორიენტირებულ საკანონმდებლო პროექტზე, რაც გულისხმობს შემოქმედებითი კოლექტივისათვის თავისი შემოქმედებითი ხელმძღვანელის დადგენილი ვადით და შესაბამისი პირობებით არჩევის უფლების მინიჭებას.

ჩვენი ორკესტრის სახელით კიდევ ერთხელ მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის და მხარდაჭერისთვის. არ შეგვიძლია, დიდი მადლიერებით არ შევეხმიანოთ იმ უდიდეს ხელოვანებს, ვინც ამ სირთულის ჟამს წარმოუდგენლად დაგვიდგა გვერდში, მათ შორის, დარბაზში იმყოფება ჩვენთვის უძვირფასესი გია ყანჩელი და კულისებში თქვენთან შესახვედრად ემზადება ალექსანდრე თორაძე.

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ რეფორმისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად დღეს კონცერტის პირველ განყოფილებაში შეგვიძლია წარმოგიდგინოთ ნაწარმოები, რომლის შესრულებაც მისი სირთულიდან გამომდინარე უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია ყველა ორკესტრისთვის – გუსტავ მალერი, პირველი სიმფონია!“

ნიკოლოზ რაჭველმა ორკესტრიდან 33 მუსიკოსი გაათავისუფლა. მათ, თავის მხრივ, საჩივრით მიმართეს კულტურის სამინისტროს და ორკესტრში დაბრუნება ითხოვეს. საპასუხო წერილი შევიდა კულტურის სამინისტროში ორკესტრის მხრიდანაც. სამინისტრო ორივე მხარეს სიტუაციაში გარკვევას დაგვპირდა.

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია ნიკოლოზ რაჭველის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ, თუმცა „ახალ თაობას“ ეს ინფორმაცია არც კულტურის სამინისტროში და არც ეროვნულ ცენტრში არ დაუდასტურეს. კულტურის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ კი საპასუხო წერილი უკვე ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალური ცენტრის მესვეურებმა დაწერეს.

ნიკოლოზ რაჭველმა გურამ ოდიშარიას გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობაში გაასაჩივრა. 14 ივნისს კულტურის მინისტრმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ნიკოლოზ რაჭველი ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ნიკოლოზ რაჭველმა მხარდამჭერებს სპეციალური მიმართვა დაუწერა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„ჩემო კეთილო და უძვირფასესო ადამიანებო, ენით აუწერელი და სიტყვით გამოუთქმელია თქვენი თანადგომის, მხარდაჭერის, ერთგულების, სიყვარულის შეგრძნება და გააზრება. სწორედ ეს არის ხელოვანისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება და მე შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ მთელი ჩემი დაუღალავი შრომა, ენერგია და საქმისადმი ერთგულება უდიდესი სიმძაფრით დამიბრუნა ჩემმა ხალხმა, ჩემმა უსაყვარლესმა ხალხმა, ვისთვისაც ვიღვიძებ, ვისთვისაც განვიცდი, ვისთვისაც ვქმნი, ვისთვისაც ვასრულებ, ვისთვისაც ვარსებობ!!!

რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთნიც, ვინც გულს საშინლად მტკენენ, ვინც დაუმსახურებლად, შეგნებულად ან შეუგნებლად მაყენებენ მორალურ დარტყმებს, მაგრამ არც მათზე ვარ განაწყენებული, პირიქით, შეიძლება, ისინი მეხმარებიან კიდევაც, რომ არ შევწყვიტო საკუთარ პროფესიასა და პიროვნულ თვისებებში განვითარებისკენ და უკეთესობისკენ სწრაფვა!

თუნდაც ერთი ათწლეულის გავლის შემდეგ ჩემ გარშემო ამჟამად განვითარებულ მოვლენებს რომ გავიხსენებ, ვფიქრობ, უპირველესად გამახსენდება გია ყანჩელის, ლექსო თორაძის, პაატა ბურჭულაძის, სოსო ბარდანაშვილის, ანიტა რაჭველიშვილის, იანო ალიბეგაშვილის, გიორგი ცაგარელის, ზუბინ მეტას ორკესტრის მუსიკოსების, ჩემი ნატოს და ლიზას, თეო ჯორბენაძის, ნინო ქადაგიძე-ჟვანიას, მაია ფანჯიკიძის, ნინო ქათამაძის, დუდანას, დოის, სოფიკოს, სუყოს, სვიმონის, მაკა ასათიანის, ნანი ბრეგვაძის, გურამ დოჩანაშვილის, ჯანსულ ჩარკვიანის, ავთო მამაცაშვილის, იზა ჯავახიშვილის, კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ლევ მარკიზის, მარინა ბერიძის, თიკა რუხაძის, ბასას და თამრიკოს, თამარა კვესიტაძის, არიელ ცუკერმანის, მაქსიმ რისანოვის, მიშა სიმონიანის, სერგეი ნაკარიაკოვის, კრის ბოტის, ფედერიკო მონდელჩის, თეოდორ რუდინის და უამრავი კიდევ სხვა ჩემთვის უძვირფასესი ადამიანების ძალიან დიდი მხარდაჭერა, ჩემი უსაყვარლესი და უტკბილესი ორკესტრის წარმოუდგენელი და არნახული თანადგომა, ნინო ნახუცრიშვილის და ცენტრის ყველა თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომა და ენთუზიაზმი, ჩემი ძმადნაფიცი ტყუპი მესაყვირეების და მთელი ჩვენი რეფორმატორული გუნდის, მათ შორის უცხოეთში მყოფი საორკესტრო მუსიკოსების ამაგი, პრესის და მედიის წარმოუდგენელი სოლიდარობა და, რაც მთავარია, გუსტავ მალერის პირველის სიმფონიის ჩემთვის პირველი შესრულება, რამაც ყველაზე მეტად შემაძლებინა, გამომეხატა ჩემი უსაზღვრო მადლიერება და სიყვარული! დიდი იყო აქამდე ჩემი პასუხისმგებლობა, მაგრამ ახლა საშინლად დიდი, უკიდეგანო... რა გაეწყობა, დაე, იყოს თქვენ წინაშე ჩემი შემოქმედებითი და პიროვნული პასუხისმგებლობა ჩემი სატარებელი ჯვარი, რათა შემაძლებინოს ჩემი შექმნილი, გაორკესტრებული თუ შესრულებული მუსიკით სიხარულის და სიამოვნების მონიჭება თითოეული თქვენგანისთვის!

ნიკა მემანიშვილი/ნიკოლოზ რაჭველი“.

როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, მაისში გამოცემული დებულება შეჩერებულია. სამაგიეროდ, გაჩერებას არ აპირებს ეროვნული მუსიკალური ცენტრი და სეზონის დახურვამდე კიდევ არაერთი საინტერესო კონცერტის ჩატარებას გეგმავს.

# სკანვორდი



1. პატარა სარწყავი არხი; 2. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 3. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 4. ... ფეროუ; 5. ქალაქი სვანეთში; 6. ... კლინტონი; 7. ნელა, დინჯად (მუს.); 8. გრძელი საბჯენი ჯოხი (ძვ.); 9. ნარკოტიკის მისაღები ტროპიკული ბუჩქი; 10. იუპიტერის თანამგზავრი; 11. რისამე საგანგებო ნარევი; 12. დიდი ზომის მხატვრული ნაწარმოები; 13. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 14. რიგი დოკუმენტების ალმნუსხველი დაწესებულება; 15. ხეთების ქალღმერთი; 16. უმანი თბილისში; 17. მაგარი, ცხელი სასმელი; 18. დიდება! (შეძახილი ეკლესიაში); 19. კლოუნის ნომერი ცირკში; 20. კუნტის შაქარი; 21. ... ტაიმანოვი; 22. რიხარდ ... (საბჭოთა მზვერავი); 23. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 24. ბერძნული ანბანის ასო; 25. ოთხიანი ნარდში; 26. ტიბეტური ხარი; 27. კოლხი მედეას დედა; 28. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 29. ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოები; 30. კორეული ავტომობილი; 31. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა რაიმე ზედაპირიდან.

***შეადგინა ოლივერ კოხიამ***

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ჰელიოსი; 5. სამთავისი; 9. არიანი; 12. ჩარგალი; 14. უზნაძე; 15. სუმო; 17. მიჯნა; 18. ვირი.

**თარაზულად:** 6. მულატი; 7. მალპენსა; 8. აწყური; 10. ფობია; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. ლაგამი; 19. ისპახანი; 20. შერატონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბატისტა; 2. არგუმენტი; 3. ესკულაპი; 4. პირუეტი; 5. ნაზუქი; 9. ლუგელა; 11. შაბლონი; 12. შაპიტო; 14. ამსტელი; 18. იახტა; 19. სეიმი.

**თარაზულად:** 4. პიკაპი; 5. ნეგროიდი; 6. ისანი; 7. კრამიტი; 8. ბუშელი; 10. პუნში; 13. ტლანქი; 15. ელეგია; 16. პული; 17. ფიცი; 20. ტორესი; 21. ხორუმი; 22. პატრული; 23. მუჯირი.

# კახი ლაზარიშვილი: „ბაქოდან მინიმალური დახმარებაც არ მიგვიღია“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მსხვილ კომპანიასთან, როგორიც არის „სოკარი“, რომელიც ბევრი ქველმოქმედების ინიციატორია, მაგრამ ამაოდ. მოკლედ, თეატრი სავალალო მდგომარეობაშია. საქართველოს ბიუჯეტს არ შეუძლია, ერთდროულად თეატრი ხელფასითაც უზრუნველყოს და რემონტზეც იფიქროს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რაც მსმენია, რომ თბილისში არსებულ ყველა ნაციონალურ თეატრს, სომხური იქნება ეს თუ რუსული დრამატული თეატრები, სოლიდურ ფინანსურ დახმარებას უწევენ ყოველწლიურად სომხეთისა და რუსეთის სახელმწიფოები, ასევე ეხმარებიან გასტროლების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სამწუხაროა, რომ ასე არ ხდება აზერბაიჯანული თეატრის შემთხვევაში. წლების წინ ერთ მიკროავტობუსს დაგვპირდნენ საჩუქრად, დასის გადასაადგილებლად საქართველოს რეგიონებში, მაგრამ...

***– ასეთ მდგომარეობაში არსებული თეატრი არის რეპერტუარით დატვირთული?***

– გაჭირვების მიუხედავად, ჩვენ მუშაობა ერთი დღითაც არ შეგვიწყვეტია. იდგმება როგორც აზერბაიჯანული და ქართული, ისე მსოფლიო კლასიკა – ამერლის, ერისთავის, ჩეხოვის, დუმბაძის, აბდულას, აჯიბეკოვის, ახუნდოვის, ჯაბარლის, ეფენდიევის და სხვათა ნაწარმოებები.

***– დასი ძირითადად აზერბაიჯანელი მსახიობებით არის დაკომპლექტებული?***

– რა თქმა უნდა, ყველა მსახიობი აზერბაიჯანელია და მათ უმრავლესობას საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. სასურველი იქნება, მომავალში საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროებმა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, შექმნან აზერბაიჯანულენოვანი მიზნობრივი ჯგუფი ჩვენი თეატრისთვის, შეიძლება – სამსახიობო სარეჟისორო ჯგუფიც. მრავალი წელია, ამაზე მიდის საუბარი, მაგრამ ჯერჯერობით ამ პროექტის განხორციელება ფერხდება.

***– თეატრის საქმეს ყველა ერთსულოვნად აკეთებთ?***

– დიახ, ცხადია. ჩვენ ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. ვმეგობრობთ და თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ამ წლების განმავლობაში. ჩვენ, ჩვენი ცოდნითა და გამოცდილებით, მნიშვნელოვნად ვჭირდებით აზერბაიჯანულ თეატრს. არა მგონია, რაიმე პრეტენზიები გააჩნდეთ მათ ჩვენ მიმართ. ეს თეატრი საქართველოში, თბილისში მდებარეობს და საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება. აზერბაიჯანულ თეატრს ჩვენს ქვეყანაში 140 წლის ისტორია აქვს. ამ წლების განმავლობაში ბევრჯერ ჰქონია როგორც აღმავლობის, ისე დაცემის პერიოდი და 70-წლიანი პაუზის შემდეგ, 2004 წელს, ისევ აღდგა სახელმწიფო თეატრის სტატუსით.

***– სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?***

– თეატრის ხელმძღვანელ გოჩა კაპანაძის კონსულტაციით თეატრში მზადდება ახალი პრემიერა, პირიევის პიესის მიხედვით იდგმება „სიყვარულის წრე“, რომელსაც ახორციელებს ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი თურგაი ველიზადე. სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრის წამყვანი მსახიობი ასლან მამედოვი და მოწვეული მსახიობი მარიანა მამედოვა. პრემიერა გაიმართება თბილისის რომელიმე წამყვანი თეატრის სცენაზე. აგრეთვე ვემზადებით გასტროლებისთვის ბაქოში და სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე. პირადად გოჩა კაპანაძე სექტემბრიდან ბაქოს ორ წამყვან თეატრში დადგამს ოპერას „ქეთო და კოტე“ და ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი“.

# თურქეთში მომიტინგეები კვლავ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალეს

თურქეთში მომიტინგეები აქციების შეწყვეტას არ აპირებენ.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, სოციალურ ქსელებში სტამბოლის მაცხოვრებლებისადმი მოწოდებები გავრცელდა, სადაც მათ ტაქსიმის მოედანზე კვლავ შეკრებისკენ მოუწოდებენ.

საზოგადოების შეშფოთების მიზეზი ამჯერად „გეზის პარკში“ მომიტინგეების ცრემლსადენი გაზით დაშლა გახდა. დარბევის შედეგად ოფიციალური ინფორმაციით, 29 ადამიანი დაშავდა. სამართალდამცავებმა „გეზის პარკში“ მომიტინგეების მიერ განთავსებული კარვების ლიკვიდაცია მოახდინეს. ამ დრომდე, ტაქსიმის მოედნის მიმდებარე ქუჩებზე მომიტინგეებსა და სამართალდამცავებს შორის შეტაკებები მიმდინარეობს.



გარდა სტამბოლისა, წუხელ სამართალდამცავებმა მომიტინგეები ანკარაშიც, რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალეს. 30-მდე ადამიანი კი დააკავეს.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში საპროტესტო გამოსვლები „გეზის პარკის“ რეკონსტრუქციის გადადების მიუხედავად გრძელდება. „გეზის პარკის“ რეკონსტრუქცია, აღნიშნულ საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე გადაიდო.

როგორც თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რეკონსტრუქციის პროექტი მანამდე არ განხორციელდება, სანამ სასამართლო მისი კანონიერების საკითხს არ გადაწყვეტს. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ხელისუფლების გეგმას მხარს დაუჭერს, პროექტი რეფერენდუმზე გავა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოღანი მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს.

ორი კვირის წინ სტამბოლში დაწყებული საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებიც ტაქსიმის მოედანზე „გეზი პარკის“ რეკონსტრუქციისა და მის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის აშენების შეჩერებას მოითხოვდნენ, მასობრივ არეულობებში გადაიზარდა და თურქეთის ოთხი დიდი ქალაქი მოიცვა. პროტესტში მონაწილეობს აბსოლუტურად ყველა, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა. არსებული ინფორმაციით, დემონსტრაციების დაწყებიდან დღემდე, აქციებს სამი ადამიანი ემსხვერპლა.

ხელისუფლებამ უკვე მოუხადა ბოდიში დემონსტრანტებს, აღიარა, რომ მათი პროტესტი სამართლიანია და დაგმო პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტები. ასევე სტამბოლის მერიამ საჯაროდ განაცხადა, რომ პარკის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრი არ აშენდება. მიუხედავად ამისა მასობრივი საპროტესტო აქციები არ წყდება.

ამ ფონზე, თურქეთის პროფკავშირები ტაქსიმის მოედანზე დაბრუნებას აპირებენ. სახელმწიფო სექტორის პროფკავშირებმა ეს გადაწყვეტილება იმ მანიფესტანტების სოლიდარობის ნიშნად მიიღო, რომელთა ბანაკიც გეზის პარკში, წუხელ, სამართალდამცველებმა დაარბიეს. ამჟამად ტაქსიმის მოედანზე პოლიციის ქვედანაყოფები პატრულირებენ.

# ირანის ახალი პრეზიდენტი ჰასან როუჰანი გახდა



ირანის ახალი პრეზიდენტი 65 წლის ჰასან როუჰანი გახდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, კანდიდატმა მეტოქეები დამაჯერებლად დაამარცხა და ამომრჩეველთა 18 მილიონზე მეტი ხმა, ანუ 72,7 პროცენტი მიიღო. უკვე 27 მილიონზე მეტი ბიულეტენის დათვლის შემდეგ, აშკარა გახდა, რომ როუჰანი დიდი უპირატესობით დაამარცხებდა მთავარ კონკურენტს, თეირანის მერს ბაგერა გალიბაფას.

„ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა რეფორმატორი, რომელსაც მსოფლიოსთან ურთიერთობის მოგვარება სურს“, – იუწყება „ბიბისი“.

როუჰანის გამარჯვებას ირანის მოსახლეობა მთელი ღამე ქუჩაში ზეიმობდა, საარჩევნო კომისიას არჩევნების სამართლიანი ჩატარებისთვის მადლობას უხდიდა და ახალ პრეზიდენტს რეფორმების გატარებისკენ მოუწოდებდა.

შეგახსენებთ, რომ ირანში საპრეზიდენტო არჩევნები 14 ივნისს გაიმართა და მასში 6 კანდიდატი მონაწილეობდა.

არჩევნებში მონაწილეობა სულ 36,5-მა მილიონმა ადამიანმა მიიღო. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, როუჰანის გამარჯვებაში წვლილი რეფორმატორული ფრთის სხვა პოლიტიკოსების დახმარებამაც შეიტანა. კერძოდ, ლაპარაკია ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტებზე: მოჰამედ ჰათამისა და ალიაქბარ ჰაშემი-რაფსანჯანიზე, რომლებიც ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში პოპულარობით თავიანთი რბილი პოლიტიკური კურსის გამო სარგებლობენ.

რაც შეეხება ირანის ყოფილ პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჯადს, მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება აღარ ჰქონდა, რადგან ის 2 ვადით უკვე არჩეული იყო.

არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლები არ იყვნენ წარმოდგენილნი. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ არჩევნების გაშუქება მკაცრად იზღუდებოდა – ლიბერალური გაზეთები იკეტებოდა, წვდომა ინტერნეტთან და საერთაშორისო მედიასთან გაუქმებული იყო და ჟურნალისტებს მასობრივად იჭერდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ არჩევნებზეც 2009 წელს წინასწარი მონაცემებით გამარჯვებულად ოპოზიციონერი მირ ჰოსეინ მუსავი გამოცხადდა, თუმცა მოგვიანებით, როდესაც ოფიციალური და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა, გამარჯვებული მაჰმუდ აჰმადინეჯადი გახდა. მაშინ მისმა მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს, რომ არჩევნების შედეგები მასობრივად გაყალბდა, ხოლო მომხრეებმა აღნიშნული ფაქტი იმით ახსნეს, რომ წინასწარი შედეგები, მხოლოდ რამდენიმე დიდი ქალაქის შედეგებზე იყო დაყრდნობილი.

ამერიკის შეერთებული შტატები ირანის ისლამური რესპუბლიკის ახლადარჩეულ პრეზიდენტს, ადგილობრივი საზომებით ლიბერალ ჰასან როუჰანს თეირანის ბირთვული პროგრამის განსახილველად მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომას სთავაზობს. ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას თეთრი სახლის ადმინისტრაცია ავრცელებს.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები მიესალმება ირანელს ხალხს, რომელთაც არ შეეშინდათ და საკუთარი ნება არჩევნებზე ღიად გამოხატეს.

თავის მხრივ, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამენ ნათანიაჰუ მსოფლიო თანამეგობრობას მოუწოდებს, საპრეზიდენტო არჩევნებში ჰასან როუჰანის გამარჯვების მიუხედავად, ირანის მიმართ ზეწოლა არ მოადუნონ.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ნათანიაჰუმ აღნიშნა, რომ ბირთვულ სფეროში ირანის პოლიტიკას განაგებს არა ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ სულიერი ლიდერი ალი ჰამენეი. შესაბამისად, ის სთხოვს მსოფლიო თანამეგობრობას, არ მოადუნონ ზეწოლა ირანზე, რომელიც „მოწოდებულია ბირთვული პროგრამის შექმნისკენ“.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა უკვე მიულოცა გამარჯვებულ კანდიდატს, ჰასან როუჰანს პრეზიდენტად არჩევა და მისადმი გაგზავნილ მილოცვაში იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აყვავებას ხელს შეუწყობს. პუტინმა მზადყოფნა გამოთქვა ირანთან რეგიონული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტაბილურობის საკითხებში ითანამშრომლოს. ირანის პრეზიდენტი ისლამური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, აირჩევა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით 4 წლის ვადით. იგი ქმნის მინისტრთა კაბინეტს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ირანის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება იმყოფება ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ლიდერის (ამჟამად აიათოლა ხამენეი) კონტროლის ქვეშ. პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ. თავდაპირველად მას სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი და მისი ბევრი ფუნქცია პრეზიდენტს დაეკისრა. ამჟამად ირანის პრეზიდენტი გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს.

# ობამას საიდუმლო დაცვისთვის ტრაქტორები შეიძინეს

„დიდი რვიანის“ სამიტზე, რომელიც 17-18 ივნისს ჩრდილოეთ ირლანდიაში გაიმართება, პრეზიდენტ ბარაკ ობამას ფერმერებად გადაცმული და სასოფლო ტრაქტორებზე ამხედრებული აგენტები დაიცავენ, – ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა „სანი“ იტყობინება“.

გაზეთის მონაცემებით, პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ტრაქტორების მთელი პარკი იყიდეს, რომლითაც პრეზიდენტის დაცვა კურორტ ლოჰ-ერნის გარშემო ტერიტორიას შეამოწმებს. ფერმერები თვლიან, რომ შესაძლო ტერორისტები აბსოლუტურად ახალ, მბრწყინავ ტრაქტორებზე „საიდუმლო აგენტების“ ყოფნას მაშინვე გამორიცხავენ.

ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ს საიდუმლო სამსახურის 200-ზე მეტი თანამშრომელი კურორტის ტერიტორიაზე იმყოფება. საზღაო ფლოტის სპეცნაზის წარმომადგენლები ლოჰ-ერნის ტბაზე პატრულირებას განახორციელებენ. ბელფასტის აეროპორტიდან სამიტის ადგილამდე, პრეზიდენტი ტყვიაგაუმტარი „კადილაკით“, ექვსი ექიმის თანხლებით გაემგზავრება.

რეგიონში სამიტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გადასროლილია 8 ათასზე მეტი პოლიციელი: 4,5 ათასი ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის თანამშრომელი და დაახლოებით 4 ათასი ინგლისიდან, შოტლანდიიდან და უელსიდან. სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, შეიარაღებული კონტროლის ქვეშ აყვანილია ლოჰ-ერნში მიმავალი ყველა გზა, თვითონ კურორტი რამდენიმე პერიმეტრზეა შემოღობილი, მდინარეებზე და ტბებზე სპეცნაზი პატრულირებს. სამიტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღირებულება ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა მედია წინასწარ მას რამდენიმე ათეულ მილიონ ფუნტ სტერლინგად აფასებს.

# რუს მილიარდერს სურს, რომ უკვდავი გახდეს

რუსმა მილიარდერმა დმიტრი იცკოვმა ნიუ-იორკში მსოფლიო დონის მეცნიერები შეკრიბა, რათა არც მეტი არც ნაკლები, უკვდავობის საკითხები განიხილონ. მისი აზრით, პირველი ეტაპი 2020 წელს უკვე გავლილი უნდა იქნეს. იცკოვი პროგრამის მთლიანად განხორციელებას 2045 წლისთვის იმედოვნებს. „გახდება თუ არა ქალაქი, რომელსაც არასოდეს სძინავს, ასევე ქალაქად, რომელიც არასოდეს კვდება?“, – მსჯელობს სააგენტო „ესოშეიტედ პრესი“.

შეხვედრაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მეცნიერები მონაწილეობდნენ.

იცკოვმა წარმოადგინა საკუთარი პროგრამა, რომლის თანახმად ინიციატივა რეალობად უკვე 2045 წლისთვის შეიძლება გარდაიქმნას: „ჩვენ იმ დროს ვცხოვრობთ, როცა ტექნოლოგიებს ადამიანის ცივილიზაციაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. მე მსურს მომავლის ფორმირება უკვე ახლავე მოვახდინო, ეს საკითხები საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოვიტანო, მაგრამ ამასთან, თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სცენარი, რომელიც კაცობრიობას ზიანს მიაყენებს“, – ამბობს მილიარდერი. იცკოვის ჩანაფიქრით, მომავალში ადამიანის სხეული შეუძლია შეცვალოს არაბიოლოგიურმა მატარებელმა, რომელშიც ადამიანური ტვინი გაცოცხლდება. გრაფიკი ასეთია: 2020 წლისთვის აზროვნების ძალით მართული რობოტები გამოჩნდება. 2025 წლისთვის – ტვინის ხელოვნურ შემნახველში გადატანის შესაძლებლობა ისე, რომ მისი სიცოცხლისუნარიანობა შენარჩუნდება. 2035 წლისთვის – შესაძლებელია ტვინიდან მთელი ინფორმაციის კომპიუტერულ მატარებელში განთავსება, ისე რომ რობოტებს მისი შემცველის თავისთან ტარება არ სჭირდებათ. 2045 წლისთვის – ტექნოლოგიური ნირვანის მიღწევა, როდესაც ვირტუალიზებულ გონებას ჰოლოგრაფიული სხეულები გააკონტროლებენ.

იდეის რეალურობა უნდა დაემტკიცებინა იცკოვის მიერ ნიუ-იორკში სპეციალურად მოწვეულ იაპონელ რობოტოტექნიკის მკვლევარს, ხიროსი ისიგუროს. მან პუბლიკას წარუდგინა ადამიანის სიმაღლის რობოტი, რომელსაც შორიდან ნამდვილი ადამიანისგან ვერც გაარჩევ. რობოტი აქეთ-იქეთ იხრებოდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, საუბრობდა და ხელებს ამოძრავებდა.

ეს ეგზემპლარი, ადამიანის მიერ უკვდავობის მოპოვებისთვის ჩაფიქრებული გეგმაში პიონერი უნდა გახდეს.

დმიტრი იცკოვი რუსული ინტერნეტკომპანია „ნიუსმედია სტარსის“ გენერალური დირექტორია. 2001 წელს, იცკოვის ხელმძღვანელობის ქვეშ რუსი მეცნიერების ჯგუფმა ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი მოძრაობა „რუსეთი 2045“, რომელიც ტექნიკური პროგრესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხარჯზე ადამიანის განვითარებაზე ზრუნავს.

# კუვეიტის პარლამენტი დაითხოვეს

ქუვეითის საკონსტიტუციო სასამართლომ მოქმედი პარლამენტის დაშლისა და ახალი არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ამავე დროს, სასამართლომ კუვეიტის ემირის, შეიხ საბაჰ ალ-ახმედ ას-საბაჰის მიერ გასულ წელს საარჩევნო კანონში შეტანილი შესწორებები კანონიერად აღიარა. შესწორებების თანახმად, ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს ერთ კანდიდატს და არა ოთხს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ამ შესწორების წინააღმდეგ ოპოზიცია გამოვიდა, რომელმაც არჩევნებს ფაქტობრივი ბოიკოტი გამოუცხადა და შედეგად, 50-კაციან პარლამენტში არცერთი დეპუტატით არა არის წარმოდგენილი. კუვეიტში არჩევნები 2012 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა მას შემდეგ, რაც თებერვლის ვადამდელი არჩევნები გაუქმებულად გამოცხადდა.

ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებზე გამოცხადებამ დაახლოებით 39% შეადგინა. მაშინ ოპოზიციამ განაცხადა, რომ ხმა მისცა ამომრჩევლის მხოლოდ 26-მა პროცენტმა და ხელისუფლება მასშტაბურ დარღვევებში დაადანაშაულა. ახალი არჩევნების ვადაზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

# ჯორჯ ბუშის თვითმფრინავმა ავარიული დაჯდომა განახორციელა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის პირადი თვითმფრინავი სასწრაფოდ დაჯდა ქალაქ ლუისვილის აეროპორტში, კენტუკის შტატში. ამის შესახებ ინფორმაციას „ენბისი ნიუსი“ ავრცელებს.

პილოტი იძულებული გახდა დაესვა თვითმფრინავი, რადგანაც კაბინაში კვამლი შენიშნა: „პრეზიდენტ ბუშის რეისმა ავარიული დაჯდომა განახორციელა, მაგრამ მას ახლა საფრთხე არ ემუქრება და ის უკვე სახლში, დალასში იმყოფება“, განაცხადა ჯორჯ ბუშის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა. ბიზნეს-კლასის, ორძრავიანი საშუალო თვითმფრინავი ფილადელფიის საერთაშორისო აეროპორტიდან სწორედ დალასში მიფრინავდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ჟუჟუნა კალანდაძე, შვილები მარინა, გია, ნინო ვეფხვაძეები, შვილიშვილები თამუნა, გოგა ბერიძეები, და ციცო, რძლები ზაირა გამცემლიძე, ლიკა რუხაძე, სიძეები ანდრო აბულაძე, გოგიტა ასლამაზიშვილი, ძმისშვილები ლაშა, მამუკა ვეფხვაძეები, დისშვილები თამრიკო, ნინო, გიგა აბულაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ გრიგოლის ძე ვეფხვაძე**

პანაშვიდი: 18, 19 ივნისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 20 ივნისს, 14 საათზე.

მისამართი: დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, მე-12 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, ბინა 81.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოხშაბათი 17 ივნისი**

07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჟორიკანა“ 17.00 „გურმანია“ 18.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას“ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა“ 22.50 ფეხბურთი. აშაფ-ს კონფედერაციის თასი: ტაიტი — ნიგერია (პ/ტრ ბრაზილიიდან) 01.00 „დღეს ორის ნახევარზე“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ედინბურგი“ 09.00 მხ/ფ „სანამ მოკვდები“ (ჯ.ნიკოლსონი) 10.40 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები“ — „ვენეცია“ 11.10 მხ/ფ „ყოველთვის თქვით დიახ“ (ჯ.კერი) 13.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა“ 4 ნაწ. 14.00 „ეპიცენტრი“ (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა“ 5 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 20.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ.„დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 სერ. „ლიკვიდაცია“ 1 სერ. 00.15 მხ/ფ „ჰოლივუდური ფინალი“ (თ.ლეონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 მოგზაურობა 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „კეთილი ადამიანები“ 13.30 „შუადღე“ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „შიში“ 17.45 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლეები 19.15 მხ/ფ „ადამიანთა სევდა“ 20.40 ძილი ნებისა 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ლაზი ვორე,ლაზი-ქართველი ჭანი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „სიაუშ ქართველი“ 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი“ 16.30 „ღია კარის დღე“ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური ამბები“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6527 | ევრო — 2,2017 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5848 | 100 რუსული რუბლი — 5,1967 |

**ამინდის პროგნოზი 17 ივნისისთვის**





## 19 ივნისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად
## საოჯახო სამზარეულოს 10-ტომეული

## მ ა ლ ე !
## ლეგენდარული „მგლის ბილიკი“ „ახალ თაობასთან“ ერთად


## ნიკოლოზ გელაშვილი: ბოხუმიდან ყარაბახამდე

აზერბაიჯანულმა „ყარაბახმა“ ქართველ თავდამსხმელ ნიკოლოზ გელაშვილს კონტრაქტი გაუფორმა. თუ ადგილობრივ მედიას ვენდობით, ყარაბახელებს თავდაპირველად ვლადიმერ დვალიშვილის გადაბირება სურდათ, რომელთან მოლაპარაკება ვერ მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის გელაშვილმა ბოლო 1.5 წელი გერმანულ „ბოხუმში“ გაატარა, თუმცა, თავი ვერაფრით გამოიჩინა – გასულ სეზონში მან მე-2 ბუნდესლიგაში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. ვერც იმას ვიტყვით, რომ „ზესტაფონის“ შემადგენლობაში შედეგიანად მოთამაშე საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა, ეროვნულ გუნდშიც გამოიჩინა თავი – 16 მატჩი, არცერთი გოლი.



რაც შეეხება სატრანსფერო შეთანხმებას: მოსალოდნელია, რომ ქართველი თავდამსხმელი აგდამელთა რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით მომავალი სეზონის ბოლომდე გადაბარგდება.

ცნობისთვის, ამჟამად „ყარაბახი“ თურქეთში იმყოფება და მოახლოებული უეფა-ს ევროპის ლიგის პირველი რაუნდისთვის ემზადება.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 17 ივნისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – იაქტიურეთ, თქვენი დღეა. **ტყუპები** – ნუ აყვებით სხვებს, თქვენი ჭკუით იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ლომი** – იმდენად კარგად ხართ, რომ არც კი გჯერათ. **ქალწული** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** – სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ღრიანკალი** – ფულს შოულობათ, პრობლემა გეხსნებათ. **მშვილდოსანი** – იაქტიურეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **თხის რქა** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **მერწყული** კარგი დღეა სამუშაოს შესასრულებლად და სწავლის გასაგრძელებლად. **თევზები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 1. კუდიანი ვარსკვლავი; 7. სარბიელი; 8. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 10. დიდი კრემიანი ნამცხვარი; 11. შტატი აშშ-ში; 13. ბოსტნეული კულტურა; 16. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 19. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 20. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული.

**შვეულად:** 1. ნარკოტიკი; 2. წყნარი, უქარო ამინდი; 3. ქიმიური ელემენტი; 4. რაიმე ბგერის სწრაფი გამეორება მუსიკაში; 5. პროფკავშირის სახელწოდება საფრანგეთსი; 9. სხეულის ნაწილი; 12. „კვირის ...“; 14. თანავარსკვლავედი ცის ეკვატორულ ნაწილში; 15. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; 17. დროის ნახევარი ფეხბურთის მატჩში; 18. მტაცებელი ფრინველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## ნიკოლოზ რაჭველი ჩივის

*ეკა ირემაშვილი*

ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრსა და კულტურის სამინისტროს შორის ვითარება დაიძაბა. ამის მიზეზი კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას მიერ გავრცელებული სპეციალური განცხადება გახდა:

„ინფორმაცია სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით:

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შემოვიდა მთელი რიგი საჩივრებისა სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის“ ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნული საჩივრების საფუძვლების შესწავლა;

კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობის არაერთი დარღვევის ნიშანი იკვეთება;

როგორც ცენტრზე სახელმწიფოებრივი კონტროლის განმახორციელებელმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაწყვიტა, რომ აღნიშნული დასკვნა გადაეგზავნოს ფინანსთა სამინისტროს;

ნიკოლოზ რაჭველი აგრძელებს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

2013 წლის 15 მაისს ცენტრის დებულება შეიცვალა ეროვნული მუსიკალური ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე (მათ შორის ერთპიროვნული მმართველობის თა-



ვიდან აცილების მიზნით შეიქმნა სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობის ინიცირებაც მოხდა საქართველოს კულტურის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს მიერ). ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ამავდროულად, არის სამხატვრო საბჭოს წევრი;

მოქმედი ხელმძღვანელი ინფორმირებული იყო თითოეული გადადგმული ნაბიჯის შესახებ. ამასთანავე, სამინისტროს ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ღიაა საზოგადოებისთვის, მათ შორის დებულება, რომელიც განთავსებულია 2013 წლის 15 მაისს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე მაცნე.გოვ.ჯი“.

ამ განცხადების გამოქვეყნებისთანავე ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა ეს გადაწყვეტილება მთავრობაში გაასაჩივრა.

ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით პიანისტ ლექსო თორაძის კონცერტი გაიმართა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და დირიჟორ ნიკოლოზ რაჭველის მონაწილეობით. კონცერტის პირველი განყოფილებაში შესრულდა გუსტავ მალერის პირველი სიმფონია, რომელიც ააჟღერა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. მეორე განყოფილებაში კი ბორის რაველის საფორტეპიანო კონცერტი ლექსო თორაძემ დაუკრა.

ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო ცვლილება შევიდა პროგრამაში – ორკესტრის მუსიკოსთა გადაწყვეტილებით, სტრავინსკის „ფასკუნჯი“, რომელიც მითითებული იყო კონცერტის აფიშაზე, შესრულდება სეზონის დახურვაზე.

ლექსო თორაძის კონცერტი წუთიერი დუმილით დაიწყო. დარბაზში შეკრებილებმა პატივი მიაგეს გიგა ლორთქიფანიძის ხსოვნას, ამის შემდეგ კი წაკითხულ იქნა სპეციალური საპროტესტო მიმართვა. ლექსო თორაძე აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი ხელოვანი, რომელიც ღიად გამოხატავს ნიკოლოზ რაჭველის მიმართ მხარდაჭერას.

„ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ მიმართვას, რომელიც მუსიკოსებმა გაავრცელეს:

„ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსთა მიმართვა საქართველოს საზოგადოებას!

ძვირფასო საზოგადოებავ, თქვენთვის უკვე ცნობილია, ბოლო დროს ჩვენი ცენტრის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ, დაინტერესებული პირები უკვე ნახევარი წელია ცდილობენ მოახდინონ ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის დემორალიზაცია სატელეფონო ზარებითა და მუქარით და ასევე, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ისინი გარკვეულ ზეწოლას ახორციელებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროზე.

ჩვენი დიდი სურვილი იყო ეს, კულტურული გაუგებრობები მოგვარებულიყო მის კულუარებში. სწორედ ამ მიზნით, ცენ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კახი ლაზარიშვილი: „ბაქოდან მინიმალური დახმარებაც არ მიგვიღია“

*ეკა ირემაშვილი*

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი უკვე მე-9 წელია ფუნქციონირებს საქართველოს დედაქალაქში. თეატრის მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის გოჩა კაპანაძის მოთხოვნით, სამი წელია, რაც აზერბაიჯანულ თეატრს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ჰეიდარ ალიევის სახელი მიანიჭა.

შენობა ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს და მდებარეობს თბილისის ცენტრში, აბანოთუბანში, გორგასლის ქუჩაზე, წმინდა ეკატერინე მოწამის დედათა მონასტრის საძირკველზე. აქ წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სახალხო კლუბი, კინოთეატრი, სახელმწიფო კაპელა და მუსიკალური სასწავლებელი. დროთა განმავლობაში თეატრში მოიშალა ინფრასტრუქტურა. კერძოდ, არ არსებობს საგრიმიოროები, გასარემონტებელია მაყურებელთა დარბაზი, სარეპეტიციოები, წლების მანძილზე არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, აზერბაიჯანის სახელმწიფო პასიურობს, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოში არსებულ აზერბაიჯანულ კულტურულ ცენტრს.

ამ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება თეატრის საინფორმაციო სამსახურის უფროსი კახი ლაზარიშვილი.

– უკვე მეშვიდე წელია, ამ თეატრში ვმუშაობ და უნდა ვთქვა, რომ ამ ხნის მანძილზე თითქმის ყოველთვე მივმართავთ წერილობით აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს დახმარებისთვის და ყურადღებისთვის, მაგრამ ამაოდ. ჩვენდა გასაკვირად, აზერბაიჯანული მხარე დღემდე დუმს. რამდენიმე კვირის წინ თბილისში გაიხსნა დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვის რესტავრირებული მუზეუმი. გახსნას ესწრებოდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს კულტურის მინისტრები და საზოგადოების წარმომადგენლები ორივე მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროებმა იციან ჩვენი თეატრის სავალალო მდგომარეობის შესახებ, არც ერთ მხარეს ინიციატივა არ გამოუჩენია, კიდევ ერთხელ ენახა, როგორ სავალალო მდგომარეობაშია თბილისის აზერბაიჯანული ნაციონალური თეატრი. თუმცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ბატონი მირიან ოდიშარია შეხვდა აზერბაიჯანელ კოლეგას, ბატონ კარაევს და წინასწარი საუბარი შედგა ჩვენი თეატრის პრობლემებზე.



*– თქვენს თეატრს აზერბაიჯანის მხარე აფინანსებს?*

– არა! თეატრი, საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება. აკი გითხარით, ბაქოდან ჩვენ მინიმალური დახმარებაც კი არ მიგვიღია. არაერთხელ მივმართეთ საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს, რომ შუამდგომლობა გაეწია ისეთ

გაგრძელება მე-10 გვერდზე